# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 76 ხუთშაბათი, 9 აპრილი 1909 წ. № 76

გაზეთი «დროება» სურათებიანი დამატებით ერთის წლით ღირს 8 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით—5 მან. 10 კ., ერთის თვით—1 მან. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვებში.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან.. ოთხი საათის შემდეგ მეტი ღირება.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ ... მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან საღამოს 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., ხოლო ხშვაგან 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

**ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.**

**დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.**


მღვდელი ალექსი, დიმიტრი და ივანე პეტრეს ძენი და სოფიო პეტრეს ასული ეპიტაშვილები, სალომე პეტრეს ასული ნელუბოვისა, ნინო პეტრეს ასული მთავრიშვილისა, მარიამ პეტრეს ასული მოლოდინოვისა მეუღლებითურთ, სოლომონ მიხეილის ძე ჯაფარიძე შვილებით, გაიანე იოსების ასული და ოლღა ლუარსაბის ასული ეპიტაშვილებისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას 5 ამა აპრილს: პირველნი—უძვირფასეს დედის, მეორენი—სიდედრის, ხოლო უკანასკნელნი—დედამთილის

**ეკატერინე დავითის ასულის, მღვდელის პეტრე ეპიტაშვილის ქვრივისას,**

და სთხოვენ დაესწრნენ ცხედრის გამოსვენებას 9 აპრილს, დილის 9 საათზე, სოფ. მარტყოფში. წირვა და ანდერძი წმ. სამების ეკლესიაში. დაკრძალვა იქვე. (2—185—2)

ხანგრძლივ და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა გენერალ-მაიორი

**ქრისტეფორე იოსების ძე მამაცაშვილი,**

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის მეუღლე **ელისაბედ ერასტის ასული შვილებითურთ.** გამოსვენება დღეს, 9 აპრილს, დილის 9 საათზე, საკუთარ ბინიდან (კრილოვის და ველიკოკნიაჟესკი ქუჩების კუთხე, № 15), ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში. დაკრძალვა იქვე, ეკლესიის გალავანში, (1—150—1)


**წარმოდგენა № 10. ქართული თეატრი წარმოდგენა № 10.**

დაკლებულის ფასებით საღამოს

კვირას, 12 აპრილს, 1909 წ. ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

## ორი ზიზგირი

მელოდრამა 5 მოქმედებად დე-კურსელისა, თარგ. ვ. აბაშიძისა.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

**ადგილების ფასები დაკლებულია. დასაწყისი სწორედ საღამოს $8^{1/2}$ საათზე.**

**რეჟისორი ვ. შალიკაშვილი.** რეჟისორის თანაშემწე ვ. ურუშაძე.

ადმინისტრაცია დრამატ. საზოგადოებისა.

### თ ე ლ ა ვ ი

კვირას, 12 აპრილს, თელავის საზოგადო საკრებულოში გაიმართება ტფილისის დრამატიულ დასის არტისტის დათიკო აწყურელის (გამყრელიძე) პატივსაცემად საიუბილეო საღამო, მისი 25 წლის სასცენო მოღვაწეობის გამო.

საღამოს შინაარსი:

I აპოთეოზი

II „დედის ნებიერი" კომ. 2 მ. დ. აწყურელისა.

III ...

მისალოცი დეპეშები და ადრესები უნდა გამოგზავნონ ბ-5 მამინაიშვილის სახელზე.

(3—1) **იუბილეის მომწყობი კომისია.**

## მაისის პირველ რიცხვებში მუშტაიდის ბაღში

გაიმართება

## დიდი სახალხო სეირნობა და საქველმოქმედო ბაზარი

**ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ**

„საზოგადოების" გამგეობა უმორჩილესად სთხოვს ყველას, ვინც კი თანაუგრძნობს სახალხო განათლების საქმეს, კეთილ ინებონ და გამოგზავნონ შემოწირულება ფულით თუ ნივთებით გამგეობის კანცელარიაში (სასახლის ქ., თ.-აზნაურობის ქარვასლა), ან სეირნობის გამგის ელისაბედ ალექსანდრეს ასულის ყაზბეგის ბინაზე (ოლგას ქ. № 4).

გამგეობა სთხოვს შემომწირველთ შემოწირულების გადაცემის დროს ბარათი მიიღონ იმისგან, ვისაც გადასცემენ ნივთს თუ ფულს.

## 11 აპრილს 1909 წელს

## გაიმართება საცეკვაო საღამო საკონცერტო განყოფილებით

ქართველ ქალთა ამხანაგობის სახელოსნო სკოლის სასარგებლოდ.

კონცერტში მონაწილეობა აღუთქვეს ქართველ და ევროპიულ მომღერალთ, დამკვრელთ და წამკითხველთ.

**დაუკრავს სამხედრო მუსიკა, საზანდარი.**

**ტფილისის ბირჟის სადგომში, სომხის ბაზარი, სახლი საკრედიტო საზოგადოებისა.**

**დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.** (4—6.—2)

## მეაბრეშუმეთა საყურადღებოდ

იყიდება საგანგებოდ, მეცნიერულად გამზადებული საუკეთესო აბრეშუმის თესლი, პაპილიანა კაკიძის ფირმისა. სამიწლის ზედიზედ გამოცდილებამ ნათლად გვაჩვენა: ექვსმა მისხალმა თესლმა მოგვცა საუკეთესო პარკი სამ ფუთ ნახევრიდან ოთხ ფუთ ნახევრამდის. ფასი ამ თესლისა შედარებით სხვა ფირმის თესლთან იაფია.

ამ თესლის საწყობი არის ბათუმში ფირმის წარმომადგენლებთან: აზილებ დიმიტრიადთან და ექვ. ბერძენიშვილთან.

ეს თესლი იყიდება ქუთაისში ნ. ჯანელიძესთან, სამტრედიაში—თოდორაძესთან და კაკაბაძესთან, ოზურგეთში—დ. ცეცხლაძესთან, ჩხატაურში—კ. სიხარულიძესთან და გ. ცინცაძესთან, ნაგომარზედ—ა. ნიკოლაიშვილთან, კელენჯიხაში—იაკობ. მანავახთან. (23—121—14)

**ექიმი ზ. ნ. მელიქიშვილი** იღებს ქირურგიულ და ქალების ხნეულებათა ავადმყოფებს ყოველ დღე 9—10 საათზე დილით და 4—6 საათზე საღამოთი. ბრონზის ქუჩა, N 11. (75—50)

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. ყორღანოვის ქუჩა N 15. (უ)

**ექიმები** კბილისა ქუთაისში **ნ. ა. დემიდოვი** და **მ. ო. სუხარევსკი** იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. ამბორონის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (8—586—117)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი **მ. ზედგენიშვილისა.** იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (ს. 35)

**ექიმი ჯაფარიძე** ქ. ქუთაისში შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის ხნეულებანი. ტფილისის ქუჩა, ზ. თ. ნიჟარაძისა (6—95)

**ექიმი** კბილისა **ნ. რცხილაძე** იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი 5—7. ვერა, ოლღას ქუჩა N 25. (უ)

**ექიმი ი. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 7—9 ს., საღამოთი 5—7 ს. აგჯალის ქუჩა, N 41, სასულიერო სასწავლებლის პირდაპირ. (უ)

**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი** იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნი, N 9. (უ)

**ექიმი კ. თ. ტყეშელაშვილი** ქუთაისში იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფებს (სიფილისი, სუსუნატი, სამარცხვინო, ბუშტის და თირკმელების სატკივარი), ტფილისის ქ., ფირალოვის სახლი (ქარხანა). (120—დ.—99)

ახლად გახსნილი

ტფილისის

## კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

**ი. გ. ფელდროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

**ვ. დ. ლამბაშიძე**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. შინაგ. და ბავშ. ავად.

**ბ. ა. პოპოვი**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. ყელისა, ცხვირისა და ყურისა.

**გ. მ. მაკაროვი**—სამშ. და პარასკ. 1—2 ს. შინაგ. და ბავშვ. ავადმ.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, $11^{1/2}$—$12^{1/2}$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

**ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

**ვ. ს. მუსხელიშვილი**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

**ს ა ღ ა მ ო თ ი.**

**ა. გ. ცირზოევი**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 5—6 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

**ნ. გ. ჭიჭინაძე**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 6—7 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

მიკროსკოპიული, ქირურგიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. (წლ.—ნ.—31)

## შპალიერი ძმ. ტარნოპოლების

**ფაბრიკის**

იყიდება იმპერიის ყველა ქალაქის დიდ მაღაზიებში.

**განყოფილება ტფილის.:** გოლოვინის პრ. 21, სადაც თეატრია საარტისტო საზოგადოებისა.

**ფასები საფაბრიკოა.**

ნიმუშები უფასოდ. (25—6—6)

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 481.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 ს.-მდე.

**რუდენკო**—შინაგანი სნეულ. კვირა 3—4 საათ.

**რიდელი**—სიფილისი, კანისა, ვენერიული, ყოვ. დღე 2—3 ს.

**კალამქაროვი**—საბ. და ქალთა. ყოველ დღე 4—5 საათ.

**ერმოლაევი**—ბავშ. და შინაგ. ყოველ დღე 1—2 ს.

**პავლოცკი**—ქირურგ. ყოველდღე 4—5

**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბთ., ოთხშ., პარას., კვირა 11—12 ს.

**ბოგოვსკი**—შინაგანი, ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

**გორალევიჩი**—შინაგან, ყოველ დღე. $11^{1/2}$—$12^{1/2}$ ს.

**ათენიანცი**—ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღე $11^{1/2}$—$12^{1/2}$ ს.

**იაკ. ჩუდნოვსკი**—ნერვებ., სულ.-ავ. ელექტრ. ორშ., ოთხშ. და პარასკ. 4—5 ს.

**ბალდინა-ნოვიცკაია**—ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღე. 4—5 საათ.

**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველ დღე 2—3 საათ.

**ნოვიცკი**—ქალ., ბავშ. ყოველ დღე 1—2 საათ.

**ჩერნიავსკაია**—კბილისა, ყოველ დღე 11—1 საათ.

**პივარსკი**—კლინიკური ანალიზი.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—6.—26)


## ტფილისი, 9 აპრილი

ამ დღეებში ადგილობრივმა ოფიციოზურმა გაზეთმა საყურადღებო ამბავი გადმოგვცა: კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს, ბ-ნ რუდოლფს, შეუდგენია მოხსენება კავკასიაში უმაღლეს სასწავლებლის დაარსების შესახებ, რომელიც გუშინ უნდა განეხილა ამ საგნისთვის არსებულს მთავარ კომისიას. ეს საკითხი ნამესტნიკის რეფორმათა პროგრამაში შედიოდა და ხსენებული კომისია რამდენიმე წელიწადია არსებობს, აგროვებს შემოწირულებას და ამზადებს ნიადაგს. როგორც სჩანს, ეხლა საქმე პრაქტიკულ ნიადაგზე სდგება და, შეიძლება, მალე ვიხილოთ მისი დასაწყისი...

კავკასიის უნივერსიტეტი, კავკასიის უმაღლესი სასწავლებელი! ეს საკითხი ძველია, როგორც კავკასიაში ერობისა, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს და სხვა რეფორმათა განხორციელების საკითხები. პირველად იგი მესამოცე წლების დასასრულს იყო აღძრული და მას შემდეგ, ამ ორმოცი წლის განმავლობაში, ადგილობრივ საზოგადოებას არ განშორებია მასზე ფიქრი და ოცნება. დიდი განაპირა ქვეყანა, რომლის მდიდარი ბუნება შეუსწავლელია, რომლის ბუნებრივი სიმდიდრენი დაუმუშავებელი რჩება, რომლის საინტერესო ისტორია და არხეოლოგია გამოკვლევას საჭიროებენ, ამაოდ მოითხოვდა და მოელოდა უმაღლეს სასწავლებელს: იჭვითა და შიშით დაბრმავებული ბიუროკრატია ფეხით სთელავდა ამ მოთხოვნასაც, რადგან მასშიაც ხედავდა სეპარატიზმის განხორციელების იარაღს. საარაკოა ეს გარემოება, რადგან, ცხადია, უნივერსიტეტი, რუსული უნივერსიტეტი, პირიქით, ხელს შეუწყობდა განაპირა ქვეყნის მჭიდრო შეკავშირებას რუსეთთან, როგორც დაწესებულება, რუსულ კულტურისა და განათლების გამავრცელებელი. მაგრამ ბიუროკრატია, რუსეთის ბიუროკრატია თაყვანსა სცემს მხოლოდ გაერთიანების, შეკავშირების მეხანიკურ საშუალებათა, ფიზიკურ ძალასა, ძალ-მომრეობას, რომელნიც, მისი აზრით, უფრო უზრუნველ-ყოფენ სახელმწიფოს ერთიანობასა და მთლიანობას, ვიდრე კულტურული საშუალებანი და მოქალაქეობრივ ცხოვრების დამყარება. ასი წლის ასეთმა „მეხანიკურმა" პოლიტიკამ სრულიად დასცა ჩვენი ქვეყანა, გააველურა იგი და სისხლით გაჟღენთა დედა-მიწა, მოამზადა ნიადაგი მართლა სეპარატიზმის განვითარებისათვის; მაგრამ ბიუროკრატია ისევ ბრმა არის, ისევ ძველ გზას ამჯობინებს, ისევ ცეცხლითა და მახვილით განაგრძობს მთლიანობის დაცვას. ამ სამიოდე წლის წინად, თითქო გონება უბრწყინდებაო, ბიუროკრატიამ წამოაყენა მორიგ საქმეებად დიდის ხნის საჭირო რეფორმები: საskoლო, საეკლესიო, სათვითმართველობო, სასამართლო, სააგრარო. მაგრამ ეს მხოლოდ მოჩვენება იყო; მალე „მოვიდნენ გონს" და უკუაგდეს „უაზრო ოცნებანი". და ეხლა ეჭვი აღარავის არა აქვს, რომ ასე იქნება იმ დრომდე, სანამ რუსეთის სვე-ბედის გამგებელი იქნება დღევანდელი მისი ცხოვრების ბატონ-პატრონი—იგივე ბიუროკრატია და მისი სულის ჩამდგმელი შეერთებული თავად-აზნაურობა. ეს კიდევ ცოტაა: ახლა განახლებულ რუსეთის იმედიც ბევრს აღარ უღვივის გულში. ჯერ ერთი—ვინ იცის კიდევ, როდის ეღირსება რუსეთს ეს განახლება, და მეორეც—ვინ იცის რას მოიტანს განახლებული რუსეთი? მეტის-მეტად თავისებურია რუსული კულტურა, რუსული ისტორია და არა-რუსთ უნებლიედ ებარებათ ეჭვი, რომ რუსეთი ვერასოდეს ვეღარ შესძლებს იმ ნორმალურ „modus vivendi"-ს შემუშავებას, ურომლისოდ შეუძლებელია სხვა და სხვა ერთა ცხოვრება ერთ სახელმწიფოში...

რუსეთის ისტორიის „თავისებურობამ" იმდენად გაგვიტეხა გული, რომ არავითარი სასიხარულო ამბავი აღარაფერს არ ეუბნება ჩვენს სულსა და გულს. ამ ხუთმეტ ან ოცი წლის წინად რომ გაგვეგონა ასეთი ამბავი—ტფილისში უნივერსიტეტი იხსნებაო—სიხარულით ცას დავეწევოდით; ხოლო უკანასკნელ წლების ცხოვრებამ, რუსეთის სინამდვილემ, ყველაფერმა, რაც ბოლო ხანს გვაგემეს ჭეშმარიტ რუსულმა ისტორიამ და ჭეშმარიტ რუსებმა, ასეთი პატარა ამბავი კი არა, ბევრად უფრო მნიშვნელოვანი ამბებიც ვერაფერს გვეტყვიან სასიხარულოსა და საიმედოს. დღ მართლაც, თითქმის შეუმჩნევლად მიდის ოფიციალურ გაზეთის ცნობა. ადგილობრივმა პრესამ ორიოდე მშრალი წერილით—ანგარიში უძღვნა მას, საზოგადოება-კი სრულებით გულცივად მიეგება „სასიხარულო ამბავს". მით უმეტეს უნდა ყოფილიყო ასე, რომ თვით განზრახვაც რაღაც სასაცილოდ ფრთა შეკვეცილია და უბადრუკი. როგორც ბ-ნ რუდოლფის მოხსენებიდანა სჩანს, მთავრობა არავითარ მონაწილეობას არ იღებს ხარჯებში და ამიტომ უმაღლესი სასწავლებელი ადგილობრივ საშვალებით უნდა დაარსდეს და იწარმოოს. ხოლო რადგან ადგილობრივი საშუალება საკმარისი არაა, განზრახულია მარტო იურიდიულ ფაკულტეტის დაარსება, რომელიც, შედარებით, უფრო იაფად ჯდება. ამრიგად, უნივერსიტეტის ნაცვლად და ნაცვლად უმაღლეს სპეციალურ სატეხნიკო და აგრონომიულ განყოფილებათა, რომელნიც ყველაზედ უფრო ესაჭიროება ჩვენს ქვეყანას, უნდა გაიხსნას იურიდიული ფაკულტეტი, ე. ი. ისეთი სამეცნიერო დაწესებულება, რომელსაც ყველაზედ ნაკლები მნიშვნელობა ექნება ჩვენის ქვეყნისათვის. მართალია, მოხსენების ავტორი ამბობს „ჯერ ჯეროობითაო", მაგრამ რის იმედით? დღევანდელი მთავრობა და დღევანდელი მისი მორჩილი სათათბირო გრომში არ გაიმეტებენ კავკასიაში უნივერსიტეტის ან პოლიტეხნიკუმის დაარსებისათვის, ხოლო ადგილობრივი მკვიდრნი ვერც შესძლებენ თავის საშუალებით უმაღლეს სასწავლებლის დაარსებასა და შენახვას და ვერც იმდენად აღფრთოვანდებიან „უკუდო რეფორმებით", რომ შეუძლებელი მსხვერპლი გაიღონ... არა, ასეთის „რეფორმებითა" და პროექტ-განზრახვებით ვერც ერთ ჩვენ ჭრილობას მალამო ვერ დაედება.

## რევოლიუციის გამარჯვება ოსმალეთში

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**სტამბოლი.** ხმა დადის, სულთანი გაიქცაო. ამბობენ აგრეთვე, ფეტვა დაამზადეს, რომელშიაც ნათქვამია, რომ სულთანი ფიცის გატეხისთვის ტახტიდან იქმნა ჩამოგდებულიო. ოსმალეთის მთავრობა აცხადებს, მართალი არ არის ეს ხმებიო. თუ ახალი სულთანი გამეფდება, ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ტახტზე უსათუოდ რეშად-ეფენდი ავა, მაჰმედ მეხუთის სახელით.

**ვენა.** „კორესპონდენ-ბიუროს" სტამბოლიდგან დეპეშით ატყობინებენ, არა მტკიცდება გაზეთების ცნობა სულთნის ტახტიდან გადაყენების შესახებაო. „ფრენდებლატში" სწერია: ავსტრო-ჰუნგრეთი და სხვა სახელმწიფოებიც თავს შეიკავებენ და არავითარ ზომებს არ მიიღებენ ოსმალეთის შესახებ, რადგან დღეს ოსმალეთი დიდს კრიზის განიცდის. იმედია დღევანდელ უწესოებას მალე მოეღება ბოლო. დღევანდელი ამბები ოსმალეთში გამოწვეულია იქ მომქმედ პარტიათა შინაურ ბრძოლით და ამიტომ არავითარი საფუძველი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ ოსმალეთში მცხოვრებ ქრისტიანებს ან უცხოელებს რაიმე საფრთხე მოელოდეთ. ადანში მომხდარი ამბავიც ადგილობრივ მიზეზებით უნდა იყოს გამოწვეულიო.

**სტამბოლი.** ქალაქში ჯერ-ჯერობით მშვიდობიანობაა. რეაქციონერები და ახრარები გარბიან და იმალებიან. მაჰმადიანთა ასოციაციის გაზეთმა კვლავ ამოიღო ხმა და ამაღელვებულ ჰანგზე დაიწყო წერა. ამ გაზეთის რედაქტორი სამართალში იქმნა მიცემული.

ჩატალჯაში მყოფი სამხედრო აგენტები განცვიფრებულნი არიან იმ დისციპლინით, რომელიც კომიტეტის ჯარშია. ჯარი მიდის სტამბოლისაკენ. ფლოტი ჯერ-ჯერობით გამოურკვეველ მდგომარეობაშია მეზღვაურებთან მოლაპარაკება აქვთ. სცდილობენ, როგორმე თავიდან აიცდინონ სისხლის ღვრა.

**სტამბოლი.** კომიტეტის ჯარის უფროსმა გუზნი-ფაშამ გუშინ პროკლამაცია გამოსცა. პროკლამაციაში ნათქვამია: სტამბოლში მიმავალი ჯარის დანიშნულება ის არის, რომ განამტკიცოს ოსმალეთში კონსტიტუცია, დაამტკიცოს, რომ არავითარი კანონი, არავითარი ძალა არა სდგას კონსტიტუციაზე მაღლა და უკანასკნელი გაკვეთილი მისცენ მოღალატეებს. მცხოვრებთა და ნეიტრალურ სალდათებს მფარველობას გაუწევთ; სასჯელს არ ასცდებიან მხოლოდ ისინი, ვინც აჯანყდნენ და ღალატი გასწიეს. ულემთა წოდებას შესაფერი პატივისცემით მოვეპყრობით, მხოლოდ დავსჯით იმ ულემებს, რომელთაც ჯაშუშობა დაიწყეს და ამით შეურაცხჰყვეს სარწმუნოება და რჯული. ყველას ცხოვრება უზრუნველ-ყოფილი იქნება. უცხოეთის მისიებს არავითარი შიში არ მოელითო.

**ლონდონი.** რეიტერის სააგენტოს სტამბოლიდან ატყობინებენ: კონსულები იუწყებიან, რომ ადენის ვილაეტში მომხდარ არეულობის დროს 5,000 კაცი მოჰკლესო.

**ვენა.** „კორესპონდ. ბიუროს" სტამბოლიდან ატყობინებენ: არის ნიშნები, რომ ყველაფერი მშვიდობიანად გათავდება. ამის ერთ ნიშნად უნდა ჩაითვალოს სამხედრო მი-

ნისტრის ბრძანება, რომლითაც ალმოსავლეთის რკინის გზის მმართველობას ევალება, გადაიტანოს სურსათი სალონიკს და ადრიანოპოლის ჯარის გამოსაკვებად. ქალაქში მშვიდობიანობაა.

**სტამბოლი**. კომიტეტის ჯარმა სერასკერიატთან (სამხედრო სამინისტრო) დაიწყო მოლაპარაკება. სერასკერიატმა ნება დართო, სატახტო ქალაქიდან სურსათი გადაიტანონ სან-სტეფანოში თავმოყრილ ჯარის გამოსაკვებად. შეიხ-ულ-ისლამმა სამხედრო მინისტრთან გამართა მოლაპარაკება. დიდი ვეზირი ილდიზშია. ხმა დადის, სულთანს 48 საათის ვადა მისცეს—ამ ხანში მან ტახტზე უარი უნდა სთქვას. დეპუტატების ჩიტალჯაში წავიდა, მათ უნდათ ნაწილი ჯართან იყვნენ. ჯარს ერთ ადგილზე უყრიან თავს.

**ვენა**. „კორესპ. ბიუროს" სტამბოლიდ ნ დეპეშით ატყობინებენ: სალონიკსა და სხვა ადგილებში რამდენიმე რეაქციონერი და ლიბერალი დააპატიმრეს.

„კორესპ. ბიუროს" სალონიკიდან ატყობინებენ: კომიტეტი თხოულობს, სიკვდილით დაისაჯნენ ყველა მოღალატე და სტამბოლის მთელი გარნიზონის სალდათები. შევა თუ არა სტამბოლში კომიტეტის ჯარი, იქ საალყე წესებს შემოიღებენ. დილის 11 საათიდან სალონიკის კორპუსის უფროსს მოლაპარაკება აქვს. სტამბოლის გარნიზონის გამოცვლის გარდა, მოითხოვეს, რომ ხილმი-ფაშა, სხვა მინისტრები და ახმედ-რიზა თავიანთ თანამდებობებს დაუბრუნდნენ. სულთანი ტახტზე დარჩება, მაგრამ იმის უფლებას უფრო შეზღუდავენ. მშვიდობიანობაა. ტყუილია ცნობები სულთნის შესახებ.

**სტამბოლი**. სმირნაში მდგომმა ოსმალეთის საფლოტო დივიზიამ მორჩილება გამოუცხადა ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტს. ანდრიანოპოლსა და სტამბოლში, რაც გაგზავნეს, იმაზე მეტ ჯარს აღარა ჰგზავნიან. სალონიკის ოლქიდან ჯარს კიდევა ჰგზავნიან.

**სტამბოლი**. სტამბოლში მიმავალ ჯარის უფროსმა, გიუზნი-ფაშამ დეპეშა გაუგზავნა საგენერალო შტაბის უფროსს. გიუზნი-ფაშა დეპეშაში ჰკიცხავს სამხედრო არეულობას და აცხადებს: მეორე და მესამე კორპუსის საკმაო ლაშქარი უკვე მივიდა სან-სტეფანოსა, კუჩუნსა და ჩეკმედში. ჯარი სასტიკ ზომებს მიიღებს, რომ სატახტო ქალაქში წესიერება აღადგინოს და დასაჯოს მოღალატენი და ჯაშუშნიო. გიუზნი-ფაშა ჯარისა და ფლოტისაგან თხოულობს: 1. მიიღონ ყველა აფიცრები და შეიხ-ულ-ისლამის და უფროსების თანადასწრებით ყორანზე დაიფიცონ, რომ თავიანთ აფიცრების ბრძანებას ბრმად დაემორჩილებიან, აღარ გაერევიან პოლიტიკაში და თავიანთ პირდაპირ მოვალეობის ასრულებას შეუდგებიან; 2. მოსულ ჯარს მოღალატეებისა და ჯაშუშების დასჯაში ხელს არ შეუშლიან, პირიქით თავიანთ აფიცრებს აცნობებენ ჯაშუშების ვინაობას. თუ ამ პირობებს აასრულებენ სტამბოლის გარნიზონს ხელს აღარ ვახლებთო.

## რუსეთი ჯარსა ჰგზავნის სპარსეთში

(პეტ. დეპ. სააგენტოს დეპეშები)

**პეტერბურგი**. თავრიზიდან იქაურ მთავარ კონსულისგან ცნობები მიიღეს, რომ თავრიზის მცხოვრებნი, შიმშილისაგან სასოწარკვეთილებაში ჩაცვივნულნი ადგილობრივ რევოლიუციონერების მეთაურობით აპირებენ სომხის უბნისა და იქ მდებარე რუსეთისა და ინგლისის საკონსულოების განადგურებას იმ მიზნით, რომ ამ უბანში პური იშოვონ. მოძრაობის მეთაურებს, როგორც ეტყობა, იმედი აქვთ, რომ ამ გზით და თუ საქმე გაჭირდა, ერთ-ერთის კონსულის მოკვლით, გამოიწვევენ რუსეთის ჩარევას სპარსეთის საქმეებში, რაც შეაგვიანებს თავრიზის აღებას შაჰის ჯარის მიერ და რევოლიუციონერებს დამალვას შეაძლებინებს. საქმეთა ასეთის მდგომარეობისა გამო რუსეთის მთავრობამ მიანდო თავის წარმომადგენელს თეირანში, გადაჭრით მოსთხოვოს შაჰს, რომ მან განკარგულება მოახდინოს და ნებართვა მიაცემინოს, ომ თავრიზში დაუყოვნებლივ შეიტანოს საკმაო საკვები სურსათი უცხოეთის საკონსულოებისა, დაწესებულებებისა და ქვეშევრდომებისათვის და აგრეთვე თავრიზის მშვიდობიან მცხოვრებლებისათვის. რუსეთის წარმომადგენელს მიწერილობა გაუგზავნეს, რომ მან გამოუცხადოს სპარსეთის მთავრობას, თუ ეს მოთხოვნა დაუყოვნებლივ არ იქნება ასრულებული, რუსეთი იძულებული გახდება. იმ წამსვე გაბედული ღონისძიება მიიღოს და სამხედრო ძალით გახსნას თავრიზის გზა იქ საკვებ სურსათის შესატანად და რუსეთის და უცხოეთის დაწესებულებათა და ქვეშევრდომთა დასაცველად.

**ლონდონი**. რეიტერს ატყობინებენ თავრიზიდან: გათენების ხანს სათარ-ხანმა იერიში მიიტანა ეინუდ-დოვლეს ჯარზე. მრავალი ათასი ქალი და ბავშვი მუდარებით თხოულობს პურსა.

**ლონდონი**. რეიტერის ცნობით, ამ ჟამად პეტერბურგში ინგლისის ელჩმა და იზვოლსკიმ დაწვრილებით შეიმუშავეს ინგლის-რუსეთის მოქმედების პროგრამა სპარსეთის საქმეებისთვის. ამ პროგრამის პირი გაუგზავნეს დასამტკიცებლად ინგლისის გარეშე საქმეთა მინისტრს გრეის. ამ პროგრამაში დაწვრილებით აწერილია, თუ რა ღონისძიება უნდა მიიღოს ორივე მთავრობამ და რანაირი რჩევა მისცეს შაჰსა. თუმცა ორსავე მთავრობას სრული უფლება აქვს ღონისძიება მიიღოს თავის ქვეშევრდომების დასაცველად, მათ მაინც არა ჰსურთ ჩარევა სპარსეთის შინაგან საქმეებში. სცნობენ რა, რომ სპარსეთს საფრთხე უქადის, ინგლისი და რუსეთი სერიოზულად და ბეჯითად ურჩევენ შაჰს, რომ მან კონსტიტუცია აღადგინოს და აფრთხილებენ, რომ სანამ იგი ახალ მეჯლისს არ მოიწვევს, არც ინგლისი და არც რუსეთი არ გაუწევენ დახმარებას და არც ფულს ასესხებენ შაჰსა. ორსავე სახელმწიფოს ელჩებს თეირანში დეპეშით ინსტრუქციები გაუგზავნეს, რომ მათ შესაფერი რჩევა მისცენ შაჰსა.

**პეტერბურგი**. წარსულ დღე-ღამეში თავრიზიდან იქაურ მთავარ-კონსულისაგან მიიღეს ახალი, მეტად საშიში ცნობა თავრიზის საქმეთა მდგომარეობის შესახებ. სხვათაშორის, ცნობა მიიღეს, რომ დამშეულმა ხალხმა და რევოლიუციონერებმა გადასწყვიტეს, სულ მოკლე ხანში დავეცნეთ რუსეთისა და ინგლისის საკონსულოებსაო. ასეთივე ცნობა მიიღო ინგლისის მთავრობამაც, რომელმაც თავის მხრივ გამოუცხადა რუსეთის მთავრობას, რომ სასურველია რუსეთმა ჯარი გაგზავნოს თავრიზში რათა უცხოელებს, რომლებსაც ქალაქის დატოვება სწადიანთ, შეაძლებინოს იქიდან წასვლაო. ზემოხსენებულისა გამო, უმაღლესის ნებით წინადადება მიეცა კავკასიის ნამესტნიკს, რომ მან თავრიზში გაგზანოს საკმაოდ ძლიერი რაზმი რუსეთის და უცხოეთის ქვეშევრდომების და დაწესებულებათა დასაცველად თავრიზში, მათთვის საკვებ სურსათის მისატანად და აგრეთვე თავრიზ-ჯულფის გზაზე მიმოსვლის უზრუნველ საყოფელად.

**თავრიზი**. ქრისტიანები მოემზადნენ თავიანთ თავის დასაცველად. ინგლისის ქვეშევრდომებმა დეპეშით დახმარება სთხოვეს გრეის, რუსებმა, კრიტიკულ მდგომარეობის გამო, თავი მოიყარეს რუსეთის საკონსულოში. ბაზრები, რუსეთის და ინგლისის ბანკები დაიკეტნენ. დღეს რევოლიუციონერები ქალაქიდან გავიდნენ და იერიში მიიტანეს შაჰის ჯარზე იმ მიზნით, რომ პურის საწყობები ჩაეგდოთ ხელში კარამალიკში. გამწვავებული ბრძოლაა. მოჰკლეს ამერიკელი მისიონერი ბასკერვილი, რომელიც მიუძღოდა რევოლიუციონერების რაზმსა. ეინუდ-დოვლე ჯერ-ჯერობით არ მოქმედებს. თავრიზში პური არაა. იქნება მალე დიდი სისხლის ღვრა მოხდეს.

**თეირანი**. რუსეთისა და ინგლისის წარმომადგენლების სერიოზულ რჩევის გამო, შაჰი დღეს დასთანხმდა, რომ თავრიზში მისი ჯარი ექვსი დღით შეურიგდეს რევოლიუციონერებს; ამ მორიგების დროს დამშეულ ქალაქში შეიტანენ საკვებ სურსათს, რათა სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი ხალხი აღარ დაეცეს საკონსულოებს.

**პეტერბურგი**. თეირანიდან და თავრიზიდან მიღებულ ცნობებით, შაჰმა დეპეშით უბრძანა ეინუდ-დოვლეს, რომ იგი ექვსი დღით შეურიგდეს რევოლიუციონერებს, რათა ამ ექვს დღეში თავრიზში პური შეიტანონ. ამ ცნობამ დაამშვიდა თავრიზის მცხოვრებნი. ბრძოლა შეჩერდა. ადგილობრივმა ენჯუმენმა სთხოვა კონსულებს, ჩვენი გულმხურვალე მადლობა გადაეცით ინგლისის და რუსეთის საელჩოებს შუამდგომლობისათვისო. რუს ვაჭრების უფროსი ნაზარბეგოვი და ინგლისის ვიცე-კონსული სტივენსი ბისმინჯაში წავიდნენ ეინუდ-დოვლესთან მოსალაპარაკებლად თავრიზში საკვებ სურსათის შემოტანის შესახებ.

**პეტერბურგი**. რადგან ცნობა მიიღეს, რომ თავრიზში მშვიდობიანობა დამყარდა იმის გამო, რომ შაჰმა ექვსი დღით შეაჩერებინა სამხედრო მოქმედება და ალყა-შემორტყმულ ქალაქში სურსათის შეტანის ნება მისცა, კავკასიის ნამესტნიკს წინადადება მიეცა ახალ განკარგულებამდე სპარსეთის საზღვარზე გააჩეროს ის რაზმი, რომელიც თავრიზში გასაგზავნად იყო დანიშნული, მაგრამ მაინც ეს რაზმი მზად უნდა იყოს იმ შემთხვევისათვის, თუ შემდეგში კიდევ გართულდა და გამწვავდა საქმე.

## სახელმწიფო სათათბირო

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

**ავტორის უფლება.**

სააღდგომო დღესასწაულების შემდეგ სახელმწიფო სათათბირო კვლავ შეიკრიბა. პირველი სხდომა 7 აპრილს მოხდა. ამ დღეს სათათბირომ განიხილა კანონ-პროექტი ავტორის უფლების შესახებ. ეს კანონ-პროექტი შეუმუშავებია იუსტიციის სამინისტროს. ამავე დროს პეტერბურგის სალიტერატურო საზოგადოებას შეუმუშავებია ძირითადი ტეზისები, რომლებზედაც, საზოგადოების აზრით, უნდა დაემყაროს კანონ-პროექტი.

სათათბიროში ამ კანონ-პროექტის შესახებ ბევრმა ილაპარაკა. სიტყვები წარმოსთქვეს მომხსენებელმა პერგამენტმა, ლიახვიცკიმ, მილიუკოვმა, კაპუსტინმა და მრავალმა სხვამ. სათათბირომ შეიმუშავა კანონ-პროექტი და მერე მუხლობრივ განიხილეს. შეუდგა ყველაზე მეტი კამათი გამოიწვია იმ მუხლმა, სადაც აღნიშნულია ვადა საავტორო უფლებისა. დღეს მწერლის სიკვდილის შემდეგ ავტორის უფლება 50 წლამდე ითვლება. სათათბირომ ეს ვადა 30 წლამდე შეამოკლა. სათათბირომ ყველა მუხლი განიხილა და ბოლოს მიიღო თვით კანონ-პროექტი:

დასასრულ, სათათბირომ მიიღო რამდენიმე უმნიშვნელო კანონ-პროექტი.

## დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

8 აპრილი

**ბალკანეთი.**

**ვენა**. უკვე ყველა სახელმწიფომ განაცხადა თანხმობა ბერლინის ტრაქტატის მე-25 მუხლის შეცვლის შესახებ.

**სოფია**. ბოლგარიის სააგენტო იუწყება: გუშინ სტამბოლში რიფაატ-ფაშამ ხელი მოაწერა განაჩენს, სადაც ოსმალეთი ბოლგარიის დამოუკიდებლობას ადასტურებს.

**ვენა**. „კორესპონდ. ბიუროს" სოფიიდან ატყობინებენ: ბოლგარიის მთავრობა სახელმწიფოების წარმომადგენლებს დღეს აცნობებს, რომ ოსმალეთთან მოლაპარაკება დამთავრდა და ხელი მოვაწერეთ შეთანხმების განაჩენსაო. მინისტრ-პრეზიდენტმა ნახა სამთა კავშირის წარმომადგენელნი და მადლობა გადუხადა შუამავლობისთვის.

**პეტერბურგი**. ხელმწიფე-იმპერატორმა ბოლგარიის მეფეს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა: „ღრმა სიხარულით მოგილოცავთ, თქვენო უდიდებულესობავ, თქვენ და ბოლგარიის ხალხს დამოუკიდებლობას. ღმერთმა გაკურთხოთ თქვენ, თქვენი სახელი და ხალხი და მოგანიჭოთ ბედნიერი და მშვიდობიანი მომავალი".

ოსმალეთის ... რუსეთის მთავრობას: ბოლგარიასთან შევთანხმდით ყველა იმ საკითხში, რაზედაც დამოკიდებული იყო

# ფელეტონი

## სამეგრელოს მთავარი ლევან

დრამა ხუთ მოქმედებად.

**ვასილ ყიფიანისა**

**მ ო ქ მ ე დ ნ ი:**

**ლევან**—სამეგრელოს მთავარი.

**ნინო**—ლევანის მეუღლე.

**მარიამ**—და ლევანისა, მეუღლე სვიმონ გურიელისა.

**გიორგი**—ბიძა ლევანის.

**დარეჯან**—მეუღლე გიორგისა.

**სვიმონ**—გურიელი—შვილი მთავრისა, მამია გურიელისა.

**ქაიხოსრო**—გურიელი—ძმა მარიამისა დედით.

**მანუჩარ**—შვილი ლევანისა და ნინოს, 12 წლისა.

**ელჩი**—როსტომ მეფისა.

**პაატა წულუკიძე**—იმერეთიდან ლტოლვილი თავადი.

**არჩილ** ) **რაჟდენ** ) ჯარის უფროსნი.

**ვარდენ**—სვიმონ გურიელის მხლებელი.

**თინათინ**—ქვრივი აზნაურისა.

**გაბუნია** ) **ჟორდანია** ) **გოროზია** ) **თომა** ) **ნანია** ) აზნაურნი.

**შიკრიკნი**: პირველი, მეორე და მესამე.—კარის-კაცნი, მოახლენი მხედარნი და სხვანი.

**მოქმედება პირველი.**

სცენა წარმოადგენს მდიდრულად მორთულ დარბაზს მთავრის სასახლეში. დარბაზს აქვს სამი კარი: ერთი მარცხნივ, გარედან შემოსასვლელი, და ორი—მარჯვნივ, შიგნით ოთახებში შესასვლელი. ფანჯარა აქვს სამი, ხამივე სცენის პირდაპირ.

**1.**

(შემოდიან **პაატა წულუკიძე და გოროზია**. პაატას ხელში უჭირავს წერილი, ჩხირზე დახვეული).

**პაატა**. როდის წამოხვედი? (აიხსნის ხმალსა და მისცემს).

**გოროზია**. დღეს მეხუთე დღე გახლავთ (ჩამოართმევს და ხმალს კუთხეში მიაყუდებს).

**პაატა**. ვისი ოინია, რომ გურულები გვღალატობენ? რას ამბობს ქაიხოსრო? (მოხსნის წერილს და კითხულობს თავისთვის).

**გოროზია**. ღალატი, როგორც ამბობენ, ბატონის ძის სვიმონ გურიელის საქმეა. მთავარმა მამია გურიელმა, ათი დღეც არის, გამოგზავნა ჯარი საშველად, მაგრამ მისი შვილი განზრახ აჩერებს გზა-და-გზა მხედრობას, აბრკოლებს მის მსვლელობას, რომ, რაც შეიძლება, დააგვიანოს მისი ჩვენთან შეერთება.

**პაატა**. მეფემ იცის?

**გოროზია**. არაფერი. ვინ გაუბედავს მოახსენოს, რომ მას ღალატობს მისივე სიძე, ღვიძლი დის ქმარი?! ამისთვის მტკიცე და შეურყეველი საბუთია საჭირო.

**პაატა**. ცხადია. (გაივლის დაძგერებით) ჯარი გულგატეხილი ხომ არ არის?

**გოროზია**. მე რომ მოწინავე ჯართა შეტაკება ვნახე, ფიქრი არ არის, ბატონო: ღმერთი ჩვენსკენ უნდა იყოს.

**პაატა**. აბა შეტაკება? (შედგება).

**გოროზია**. კოპიტნართან. (პაატა კვლავ იწყებს სიარულს) კარგა ლაზათიანი ბრძოლა იყო: იქითაც და აქეთაც ბევრი გამოესალმა წუთისოფელსა. პირველში მტერმა ძალიან გამოიღო ხელი და თითქმის შეგვატოკა კიდეცა, მაგრამ ბოლოს მაინც თავი ველარ შეიმაგრა და პირი იბრუნა გასაქცევად.

**პაატა**. ვინ იყო რიგის მიმცემი?

**გოროზია**. არჩილ.

**პაატა**. (შედგება) როგორ!?

**გოროზია**. არჩილ თაოსნობდა, ის იყო მოწინავე ჯარის სარდალი.

**პაატა**. (მოღუშული) ქაიხოსრო უნდა ყოფილიყო?!

**გოროზია**. მეფემისე ინება.

**პაატა**. (გულმოსულობით წიგნის ჩხირს გადასტეხს) მეფემ ინება? (თავს შეიკავებს) მეფის სურვილი კანონია. (სიარულს იწყებს).

**გოროზია**. (ცბიერად) დიდად ისახელა თავი არჩილმა, ბატონო; როგორც შავარდენი მტრედების გუნდში, ისე ტრიალებდა ბრძოლის ცეცხლში და მისი მარჯვენა არ გაჩერებულა, ვიდრე ცხვრის ფარასავით არ შემოიფანტა მტერი. აბა ის რომ მართებულად გაირჯება, თქვენც კარგად მოგეხსენებათ.

**პაატა**. (სიარულში) ოლონდაც! (ფრთხილის ირონიით) ზედ გამოჭრილია იმაზე სარდლობა.

**გოროზია**. დიდად დააჯილდოვა მეფემ: დიდი პატივი მიანიჭა: იქვე ჯარის წინ ჩამოხდა თავის ბედაურიდან და უბოძა იგი თავის რახტითა და კაზმულობით.

**პაატა**. (სიარულში) წყალობის კალთა უხვად დაუბერტყნია.

**გოროზია**. სწორედ მეფურად. მართალი რო სთქვას კაცმა, ღირსიც არის...

**პაატა**. რა თქმა უნდა! (თითს დაუქნევს) მოდი აქ! წამოიწიე! (გოროზია წადგება) ახლო მოდი! ქვეით დაიხედე! (თავს დაიდებს) დაბლა! (პაატა წკიპურტს ჰკრავს ცხვირში).

**გოროზია**. უჰ! (აიქნევს თავს).

**პაატა**. არაფერი, გონს მოგიყვანს. წადი, დამიძახე გაბუნიას.

**გოროზია**. რა დავაშავე, ბატონო?!

**პაატა**. წადი, წადი... (გოროზია გადის) უთხარი, ახლავე აქ დაიბადოს. (მარტო) გულის საწადელი აუსრულდა: მისი ზნე-სრულობის ხმა ქვეყანას მოეფინა. ჰეი! ჩამოდექ გზიდან, პაატა, სვე-მღვიძარე მობრძანდება! (დაფიქრდება და დაჰკრავს ფეხსა) სტყუის! გავსრეს, მატლსავით გავსრეს! (დადის და მერე დაფიქრდება). იქ მოვასწრობ, საცა არ ელოდეს! სწრაფლ ამაღლებულს ჰკუის გზები ეფანტება; ჩვენ რაინდსაც იგივე მოსდის: ტრფობის ცეცხლს ვ ღარა ჰმალავს (დიდ ხანს ფიქრობს). საქმე ის არის, რომელია: დარეჯან ლაღობს, დედოფალი კი კრძალვით არის (დაფიქრდება). თუ დედოფალია... თუ წაიღუნა ერთგულობის ფეხი და გასტეხა ცოლ-ქმრობის უღელი, ჰო! მაშინ იხარე, შურის ნერგო! ორგზით აღვისრულებ საწადელსა. (შემოდიან გაბუნია და გოროზია).

**2.**

**პაატა** (გაბუნიას) გამიგონე! აარჩევ ეხლავე ორმოცს ურემს...

**გაბუნია**. დიაღ, ბატონო!

**პაატა**. დატვირთავ კარგად სურსათით, შეჰკრავ მაგრად სალტებით და გაუდგები გზას დაუყოვნებლივ,—გესმის?

**გაბუნია**. დიაღ, ბატონო!

**პაატა**. თან გაიყოლიებ მცველად ოციოდე შეიარაღებულ კაცს! მცველნი უნდა იყვნენ მარჯვენი და გამოცდილნი,—გესმის?

**გაბუნია**. დიაღ, ბატონო!

**პაატა**. ივლით საღამომდის, მზის ჩასვლამდის მეც დაგეწევით. გასწი! (გაბუნია თავს დაუკრავს და გავა. პაატა დადის, მერე გაჩერდება გოროზიას წინ და თვალებში თვალებს გაუყრის).

**პაატა**. სხვა წერილი არა მოგიტანია-რა?

**გოროზია**. გახლდათ ერთი.

**პაატა**. ვისგან? არჩილისაგან?

**გოროზია**. დიაღ.

**პაატა**. დედოფალთან?

**გოროზია**. არა, დარეჯანთან.

**პაატა**. ნამდვილად?

**გოროზია**. სწორედ.

**პაატა**. კარგი, წადი! (გოროზია თავს დაუკრავს და გავა. პაატა დაფიქრდება). ნუ თუ ჰაერსა ვკაფავ ხმლითა მძიმითა? (შემოდის გარედან დარეჯან).

**3.**

**დარეჯან**. კვლავ უნდა გისაყვედუროთ, თავადო: არ მოველოდი თქვენ გულ-კეთილობისაგან.

**პაატა** რასა, ბატონო დარეჯან?

**დარეჯან**. უბრალოდ გაკიცხვას ყმაწვილ კაცისას.

**პაატა**. სწორედ შემცდარი ვარ: ომისაგან დარიდება შევწამე; არც ის ვიცოდი, მერწმუნეთ, რომ ჟორდანია თქვენს მძლავრ საფარველ ქვეშ იმყოფებოდა; ბოდიშს ვიხდი ბნელთა მნათობის წინაშე. (თავს მოუხრის).

**დარეჯან**. ბნელთა მნათობი შენდობას ეუბნება ბრწყინვალე ვარსკვლავს გონიერისას, მაგრამ ერთის პირობით კი.

**პაატა**. გვიბრძანეთ. (თავს დაიხრის).

**დარეჯან**. თუ ყმაწვილ კაცს თან იახლებს და მით შეაძლებინებს ქვეყანას ერთგულობა დაუმტკიცოს.

**პაატა**. დიდის სიამოვნებით, მორჩილი გახლავარ თქვენი ბრძანებისა. (თავს დაიხრის).

**დარეჯან**. გმადლობთ! როდის აპირებთ წასვლას, თავადო?

**პაატა**. დღესვე, შუადღის შემდეგ. ხომ არაფერს დამაბარებთ?

**დარეჯან**. ვისთან?

**პაატა**. ჯერ, რასაკვირველია, მეუღლესთან და შემდეგ ჩვენ საყვარელ გმირთან,—არჩილს ამ ჟამად მეტად ეჭირვება თანაგრძნობა.

**დარეჯან**. ჩემი თანაგრძნობა ჩირადაც არ ულირს, თავადო; სჯობს ისევ იმან შეუთვალოს მოკითხვა, ვის თანაგრძნობასაც უფრო ფასსა სდებს.

**პაატა**. როგორ გავიგოთ ეგ სიტყვები, ბატონო დარეჯან?

**დარეჯან**. (ეშმაკურად) როგორც გნებავდეთ.

**პაატა**. (დააცქერდება და შემდეგ ჩამოართმევს ხელს) მიბოძეთ ხელი! მწადს ბოლში დედაკაცისავით სასაიდუმლო ძარღვები დაგისინჯოთ ხელის გულზე. (განჯებ დააკვირდება). ნუ თუ ვცდებოდი?! ნუ თუ რაინდის დამწვარ გულსა ციურის ნამით გვირგვინოსანი რწყავს?!

**დარეჯან**. (გამოაცლის ხელსა) მიმოიხედეთ, თავადო! ჰხედავთ? (ხელით აჩვენებს)

**პაატა**. რასა?

**დარეჯან**. მოხუცებულხართ, თავადო: სიფრთხილე გღალატობთ.

**პაატა**. ნუ თუ?!

**დარეჯან**. გავიწყდებათ საცა ხართ:—მინდორს თვალი და კედელს ყური,—მიხვდით?

**პაატა**. (შუბლზე დაიკრავს ხელსა) ვაი შენ პაატას!.. მაგრამ, დარეჯან...

**დარეჯან**. (ტუჩებზე ხელს დაიფარებს) მაგრამ სსსუ! (გატრიალდება და შევა გაწქარებული ოთახში. პაატა აღტაცებული მუშტს გაიშვერს)

**პაატა**. დაეშვა ვარსკვლავი ბრწყინვალე! გაიწირა რაინდი! შურმა სძლია სიყვარულსა. (გატრიალდება, აიღებს ხმალსა და გაიკეთებს) გვიანლა იქნება, როცა მიხვდები, ბატონო არჩილ, რომ სიყვარული მცონარეა, შური-კი—მხნე და ფხიზელი.—კავშირი შეიკრა და ეხლა ჩვენ ვიცით. (მიდის გასასვლელად; გამოდიან შიგნიდან დედოფალი და დარეჯან; პაატა მობრუნდება).

**4**

**დედოფალი**. სალამი თავადს!

**პაატა**. (დაბლა თავს დაუკრავს) ღვთივ გვირგვინოსანი აღდეგრძელოს ღმერთმა! მოგვილოცავს, დედოფალო, სამეფო დროშის ამაღლება.

**დედოფალი**. მაშინ მომილოცეთ, თავადო, როცა შეჭირებაში ჩაცვივნულნი უვნებლად შინ დაბრუნდებიან.

**პაატა**. ბრძოლის სასწორი, დე-

ბოლგარიის დამოუკიდებლობის დადასტურებაო. რადგან ამ განცხადებაში ნათქვამია, რომ ოსმალეთი აღიარებს ბოლგარიის დამოუკიდებლობას, ამიტომ რუსეთის მთავრობამ დაავალა თავის წარმომადგენლებს, გადაეცით იმ სახელმწიფოებს, რომელთაც ბერლინის ტრაქტატს ხელი მოაწერეს, რომ რუსეთის აზრით შესაფერი დროა, ბოლგარეთი ჩვენც დამოუკიდებლად ვაღიაროთო.

**ბერლინი.** ოფიციალურად იტყობინებიან, რომ გერმანია და ავსტრია ბოლგარიის დამოუკიდებლობას ვერ აღიარებენ მანამდე, სანამ ბოლგარია აღმოსავლეთის რკინის გზების ამხანაგობას არ დააკმაყოფილებსო.

### რ უ ს ე თ ი

**კიევი.** კიევიდან ხუთი ვერსის მანძილზე ხუთმა ავაზაკმა გაცარცვა დილიჟანით მიმავალი მგზავრები. სამი სტრაჟნიკი გამოედევნა მცარცველებს და მოეწია. ერთი სტრაჟნიკი დაიჭრა. მათ შეუერთდა ორი ყაზახი. სროლის დროს მოკლულ იქმნა მძარცველი, ორი გლეხი და ერთიც ყაზახი; დაიჭრა ერთი მცარცველი და სამი გლეხი, რომელთაგან ერთი უკვე გარდაიცვალა. ორი ავაზაკი დაიმალა, მათ საძებნელად სტრაჟნიკი და ყაზახები გაიგზავნა.

**დონის-როსტოვი.** დიდის ამბით გაიხსნა მებაღეობის საოლქო გამოფენა.

**სტავროპოლი.** 5 აპრილს, ნაშუადღევის 1 საათზე მიწა იძრა. მიწის ძვრამ 6 წამს გასტანა.

**ტამბოვი.** დღეიდან გუბერნიაში გაუქმდა გაძლიერებულ დაცვის წესები. დატოვებულია ერთის წლის უფლება, რომ გამოიცეს სავალდებულო დადგენილებანი წესიერების დაცვის შესახებ.

## ახალი ამბავი

### ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ **კათალიკოსის დამტკიცება.** ხელმწიფე იმპერატორს, როგორც სააგენტოს დეპეშა გადმოგვცემს, დაუმტკიცებია სრულიად სომეხთა კათალიკოსად ამას წინად არჩეული კონსტანტინეპოლელი პატრიარქი მათევოს იზმირლიანი.

✦ **ქალთა წრე.** კვირისთვის ქალთა წრის საზოგადო კრება იყო დანიშნული, მაგრამ კრება არ შესდგა, [illegible] არ გამოცხადდა საკმაო რიცხვი წევრებისა. ამის გამო კრება გადაიდო.

✦ **მოკლული კაცი.** 7 აპრილს, დილის 7 საათზედ, ქალაქის ტყეში, ნაძალადევის თავზე, ნახეს გვამი 16 წლის ყმაწვილის არუთინ სარქისოვისა. სარქისოვს ტანზე რამდენიმე სასიკვდილო ჭრილობა აღმოჩნდა. პოლიციას ჯერ ვერ გამოურკვევია ადგილობრივ არის მოკლული სარქისოვი, თუ სხვაგან მოუკლავთ და შემდეგ მიუტანიათ. არ არის აგრეთვე გამორკვეული ისიც, ვინ და რა მიზნით ჩაიდინა ეს ბოროტმოქმედება.

✦ **პოლიტიკური საქმე.** სამშაბათს, 7 აპრილს, კავკ. სამხედრო ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე სოლომონ ვადაჭკორიასი, მიხეილ ორმოცაძისა და არჩილ რუხაძისა, რომელთაც ჰბრალდებოდათ არსებულ სახელმწიფო წესწყობილების დარღვევის განზრახვა. საქმის გარჩევას სასამართლო მთელს დღეს მოუნდა. სასამართლომ დამნაშავედ იცნო სამივე ბრალდებული და გადაუწყვიტა მათ ყოველივე უფლების ჩამორთმევა და კატორღაში გაგზავნა ვადაჭკორიასი და ორმოცაძისა ოთხ-ოთხი წლით, ხოლო რუხაძისა—2 წლითა და 4 თვით.

✦ **შრომის ბირჟის გამგე.** ტფ. ქალაქის გამგეობამ შრომის ბირჟის გამგედ დანიშნა ვლადიმერ ახმეტელაშვილი, ხოლო იმის თანაშემწეებად ფარატიანცი და ბლოკი. შრომის ბირჟა მოქმედებას დაიწყებს მაისის პირველ რიცხვებში.

✦ **კრების დამთავრება.** კვირას, 5 აპრილს, დასრულდა სომეხთა შინა მრეწველობის მოღვაწეთა კრება. კრებამ გასტანა 4 დღეს. ამ ხნის განმავლობაში განხილულ იქმნა 25 მოხსენებამდე. კრებამ დასასრულ მიიღო შემდეგი დადგენილებანი: 1. ცნობილ იქნეს საჭიროდ, რომ ასეთი კრებები სისტემატიურად გაიმართოს; 2. აღიძრას შუამდგომლობა სომეხთა შინამრეწველობის საზოგადოების წინაშე, რომ მან ყოველ წლობით გამართოს ბაზარ-გამოფენა შინა [illegible] მოებისა; 3. სატეხნიკო ცოდნის გავრცელების შესახებ კრებამ დაადგინა, დაარსდეს ცენტრალური სახელოსნო ტფილისში. ამ სახელოსნოში იქნება საქსოვი სამტყლე და ხალიჩებისა განყოფილებანი. სასურველია აგრეთვე ტფილისში დაარსდეს ცენტრალური საწყობი, ხოლო სკოლები ცხინვალში კარაკლისსა და შუშაში. რაც შეეხება სახსარს საქმის განსახორციელებლად, კრებამ დაადგინა სთხოვოს სომეხთა მიწათ-მრეწველობის საზოგადოებას იშუამდგომლოს, ვისთანაც ჯერ არს, რომ 5000 მანეთი გადადოს პეტერბურგის სომეხთა ეკლესიის საშუალებიდან.

✦ **ადგილების შეძენა.** ტფ. ქალაქის გამგეობამ განიხილა განცხადება ნადიროვის ანდერძის ამსრულებლებისა შეიძინოს ქალაქმა ჩუღურეთის ადგილები. გამგეობამ დაადგინა, დაავალოს საამშენებლო განყოფილებას შეიმუშაოს გეგმა შესაძენად განზრახულ მიწებისა.

✦ **ვარაზის ხიდი.** ვარაზის ხიდი სათავად-აზნაურო გიმნაზიასთან უკვე მზად არის. ეხლა ხიდი ტეხნიკოსთა კომისიამ უნდა შეამოწმოს.

✦ **მკვლელობა.** „ზაკავკაზ“ სიტყვით 6 აპრილს ქვიშეთის ბაქანის მახლობლად ვიღაც ბოროტგანზრახველებს მოუკლავთ ორი დარაჯი.

✦ **თავის დახრჩობა.** 2 აპრილს სადღაც დაიკარგა სათავად-აზნაურო გიმნაზიის მეექვსე კლასის მოწაფე მაყაშვილი. გამოირკვა, რომ მას თავი დაუხრჩვია მტკვარში. გუშინ დამხრჩვალის გვამი სოღანლუღში გარიყული ნახეს.

✦ **ქალაქის ადგილების ექსპლოატაცია.** ხმოს. ნ. ზ. ელიავამ ტფ. ქალაქის საბჭოში შეიტანა მოხსენება ქალაქის მიწების ექსპლოატაციის შესახებ. მომხსენებელი, ეთანხმებოდა რა გამგეობის წევრის ალ. არგუთინსკის მოხსენების დედა აზრს ქალაქის მიწების მუნიციპალიზაციის შესახებ, საჭიროდა სცნობს ქალაქის თვითმართველობამ შეიმუშაოს სისტემა მიწების ექსპლოატაციის. [illegible] ელიავას აზრით, ადგილების მოიჯადრენი უნდა ორ კატეგორიად გაიყვნენ, პირველ კატეგორიაში შევლენ ის მოქალაქენი, რომელნიც მიწებს იღებენ იმ აზრით, რომ შემოსავლიანი წყარო გაიჩინონ, ხოლო მეორე კატეგორიაში ის მშრომელი კლასი, რომელსაც მიწა უნდა მხოლოდ საცხოვრებელ სახლების ასაგებად. მეორეებს მიწა შეღავათით უნდა მიეცეთ. უნდა შემუშავდეს პირობები შეღავათიან მოიჯარადრეებისათვის და დაევალოს გამგეობას შეიმუშაოს ტიპიური გეგმა მუშათა საცხოვრებელ პატარა სახლებისა. უნდა ჩამოიჭრას ქალაქის მიწებიდან რამდენიმე დესეტინა მუშათა ახალ უბნის გასაშენებლად. შეღავათიანი პირობები მოიჯარადრისა გავრცელებულ იქმნეს ნავთლუღში, რკინის გზის მოხელეთა უბნის მოიჯარადრეებსა და ნაძალადევისა ლოტკის გორის იმ მცხოვრებლებზე, რომელნიც არ გამოისყიდიან მიწებს. ტფ. ქალაქის გამგეობამ მოხსენება განიხილა და დაადგინა გადასცეს მიწების კომისიას.

✦ ტფ. ქალაქის გამგეობამ დაადგინა, 1000 მან. გაუგზავნოს. ინჟინერ ზოდერნს. ზოდერნი ამას წინად ჩამოვიდა ტფილისში, დაათვალიერა ქალაქის საყასბოსათვის დანიშნული ადგილი და აღუთქვა ქალაქს, საყასბოს ახალ შენობის გეგმაში სასურველ შესწორებს შევიტანო.

✦ 16 აპრილისთვის საღამოთი დანიშნულია ახალ კლუბის საბჭოს სხდომა.

✦ 7 აპრილს ასატურ ავეტისოვი მარიინის ქუჩის შესახვევში თავს დაეცა სარქის ტურაზოვს და დანით ოთხგან დასჭრა. ავეტისოვი მიიმალა.

✦ 7 აპრილს დავით ოგანეზოვმა პოლიციას განუცხადა, ჩემს სახლში დანით შემომივარდა არუთინ ვართანოვი და მოკვლა მომინდომაო. ყვირილი მოვრთე და ვართანოვი მიიმალაო. პოლიციამ ვართანოვი დააპატიმრა.

## ქალთა უნივერსიტეტი ქ. კიევში.

(წერილი კიევიდან)

კიევის პროფესორებს [illegible] ხავთ დაარსონ კიევში ქალთა უნივერსიტეტი. წესდება ამ უნივერსიტეტისა უკვე შემუშავებულია და ამ დღეებში გაჰგზავნიან უმაღლეს მთავრობასთან დასამტკიცებლად. პროფესორები დაიმედებულნი არიან, რომ უარს არ მიიღებენ, მით უმეტეს, რომ ეხლანდელი სამინისტრო ქალებსა სდევნის უნივერსიტეტიდან.

უმთავრესი განსხვავება ახლად განზრახულ უნივერსიტეტისა ქალთა უმაღლეს კურსებისაგან ის იქნება, რომ უნივერსიტეტში მოსწავლე ქალებს უფლება ექნებაა ეგზამენი ჩააბარონ სახელმწიფო გამოსაცდელ კომმისიებში, რაც ეხლა ძალიან იშვიათადა ხდება, რადგან ყოველ ამ გვარ კერძო შემთხვევისთვის უმაღლესი ნებართვაა საჭირო. პეტერბურგის ბესტუჟევის კურსებზე იყო რამდენიმე შემთხვევა, როცა მოსწავლე ქალებს უნდოდათ ეგზამენის ჩაბარება სახელმწიფო გამოსაცდელ კომისიებში. უნივერსიტეტი დაარსდება წმ. ოლგას სახელობაზე. შემდეგში ეს უნივერსიტეტი მიიღებს უნივერსიტეტების ყოველგვარ უფლებას. უფლება ექნება, მაგალითად, მიიღოს სამეცნიერო ხარისხი —დოქტორისა და მაგისტრისა.

თუ გავითვალისწინებთ, რამდენად უუფლებოა ამ ჟამად ქალი რუსეთში, რამდენად ძნელია იმისთვის უმაღლეს განათლების მიღება, შეიძლებით, რა დიდი მნიშვნელობა ექნება მომავალ ქალთა უნივერსიტეტს. ამ უნივერსიტეტის წყალობით ქალი მეტ სწავლას შეიძენს და მეტ უფლებას მოიპოვებს.

პროფესორებს დიდი იმედი აქვთ, რომ ეს სიმპატიური საქმე კეთილად დაბოლოვდება. ვნახოთ რას იტყვის სამინისტრო.

**გ. ნამორაძე.**

## მოწერილი ამბები

**გორი.** ისე დღე არ გაივლის, გორში არა მოხდესაა-რა. 11 მარტს აქ მოჰკლეს ერთი კაცი, იაკობ მაისურაძე. მკვლელი, იოსებ ხაბაზაშვილი, დურგალი შეიპყრეს. საქმე ასე ყოფილა. ამ რამდენიმე წლის წინად იაკობ მაისურაძეს ზედდულეთში შეურთავს ნაქვრივალი ხაბაზაშვილისა. ქალი ხნიერი ყოფილა, კაცი კი ჯეელი, 20-21 წლისა. ახალგაზდას აუთვალწუნებია მოხუცი ცოლი და 1905 წელს წაუყვანია სადღაც მოტყუილებით. როდესაც განშორებიან სოფელს, გაუტიტვლებია მოხუცი დედაკაცი და ისე გამოუტრია ყელი. აი ამის შემდეგ ჩამოვარდნილა მტრობა მოკლულის შვილის [illegible] და მაისურაძის შორის. პირველს განუზრახავს [illegible] ლისთვის.

მარტის 11 იაკობ მაისურაძეს და სხვებს ერთად უქეიფნიათ გორში. მათ შორის იოსებ ხაბაზაშვილი რეულა. საღამოს ხანზე ხაბაზაშვილს როგორღაც ჩამოუშორებია ამხანაგებისთვის მსხვერპლი და ეტლით წაუყვანია ლიახვისკენ. გასულან თუ არა ციხის ძირში, გადმოუყვანია ეტლიდან, ორჯელ დაუკრავს დანა და იქვე გაუთავებია. მეეტლეს შეჰშინებია და გაქცეულა. მნახველი ბევრი აღმოჩნდა. დაიჭირეს მეეტლე. თითქმის ყველამ აღიარა, ვინ იყო მკვლელი. ბოქაულის თანაშემწემ დააპატიმრა მკვლელი, დანარჩენები გაანთავისუფლეს, როგორც ხმა დადის.

ამის მესამე დღეს მოჰკლეს კიდევ ერთი კაცი. დანამდვილებით ვერ გავიგეთ მიზეზი მკვლელობისა, მხოლოდ ვიცით, რომ თავ. გიორგი ამილახვართან ნამყოფ თათარს მოუკლავს, როგორც ამბობენ, უცაბედად. გიორგი ამილახვარს გაუგია თუ არა, შემწეობა აღმოუჩენია, მაგრამ ვეღარ უშველნია და საბრალო მეორე დღეს გარდაცვლილა.

აღმოაჩინეს სეგმანოვისა და იარალოვის გამქურდველი. იგი გამოდგა პეტრე გინგიური, სოფ. მეჯვრიხეველი. გამოტყდა და აღიარა ყველაფერი. ამხანაგი ჰყოლია, ეხოლოდ გვარს არ ამბობს, არ ვიციო, სახელი კი სანდრო ჰქვიანო. საქონელი ტფილისში გაეყიდნა, რიყეზე მეპურე ნიკო ბრეგვაძესთან და იმის ამხანაგ სიმონ ჩლაიძესთან. საქონელი, ღირებული 1000 მ., მიუცია 60 მანეთად. ბრეგვაძე დააპატიმრეს, ხოლო ჩლაიძე გაპარულა. წინად დაჭერილი საქონელი და ქურდები მართლები გამოდგნენ. ის წანართმევი საქონელი თურმე არა ყოფილა იარალოვისა და ტყუილად დაუდვია ხელი—ჩემიაო.

**აბდულ-ხანი.**

**სოფ. ახალქალაქი.** როგორც მოგეხსენებათ ყაჩაღობამ ყველგან იჩინა თავი, აბა რა თქმა უნდა არც ახალქალაქის საბოქაულოა მოკლებული. საქმე იმაშია, რომ ყაჩაღების მოქმედებისათვის მშვიდობიან მცხოვრებლებს არბევენ, მათვე აგებინებენ პასუხს. ამ დღეებში ახალქალაქის საბოქაულოში (მთიულეთში), ვიღაც ბოროტგანმზრახველებმა მოჰკლეს მთიელი წიკლაური. როგორც ამბობენ, წიკლაურს დიდი ხანია, რაც მოკვლას უპირებდნენ, მას მთავრობისათვისაც კი მიუმართავს იარაღის ტარების ნება [illegible] ასეა თუ ისე კაცი მოკლეს და, როგორც ყოველთვის მშვიდობიან მცხოვრებლებს მოსთხოვენ პასუხს. უკვე 13 დარაჯი გაჰგზავნეს. ხმა დადის, რომ ეგზეკუციას ჩააყენებენო.

**მგზავრი.**

დედოფალო, ჯერ ჩვენსკენ არის გადმოხრილი და ღვთისა შეწევნით საბოლოოთაც ჩვენი იქნება გამარჯვება.

**დედოფალი.** ღმერთი არ შევვინდობს ქრისტიანთა სისხლის უბრალოდ დღვრას.

**პაატა.** ნათელი თქვენის სათნოებისა შუქს აფრქვევს სულის სალხინებლად, მაგრამ, დედოფალო, დღეს სისხლის დღვრას მოითხოვს ქვეყნის ხსნა და კეთილდღეობა.

**დედოფალი.** უფრო ქიშპობა და შურისძიება გაიძვერათა... მაგრამ დავანებოთ ამას თავი:—როდის მიდიხართ, თავადო?

**პაატა.** დღესვე გიახლებით, დედოფალო.

**დედოფალი.** მაშ გადაეცით ეს წერილი ბატონს: (მისცემს) პირადაც მოახსენეთ, რომ ვევედრები, ერიდოს ავის განზრახვით შემასმენელთ.

**პაატა.** (დაბლა თავს დაუკრავს) მონა-მორჩილი გახლავართ. (წავა და კარებთან იტყვის) გველი!

**დედოფალი.** ეკალივით მესობა თვალში ეგ გაიძვერა.

**დარეჯან.** სიტყვის საზღვარს გადასცდი მგონი, ნინო.

**დედოფალი.** კარგადაც მიქნია: მაგან ასტეხა ეს შფოთი; დღე-მუდამ იმერეთის მეფის ბეზღობაშია. მაგის დაუცხრომელი შურის ძიება უწინდელ ბატონის ზიზღია მგვრის; მოღალატე, რაც უნდა იყოს, მაინც მოღალატეა.

**დარეჯან.** ყველა თავის სასარგებლოდ იღწვის, ჩემო ნინო. მე ღვთის მაკვირვებს მხოლოდ: როგორ ვერ გაურჩევია გულწრფელობის სინათლე ფლიდობის წყვდიადისაგან; სად არჩილ და სად ეგ ჯოჯო!

**დედოფალი.** ორივე გასადევნია აქედან: მაშინ მოისვენებს ქვეყანა.

**დარეჯან** (საყვედურის კილოთი). უსამართლო ხარ, ნინო,—რით ვერ მოგილბა გული?! ახალგაზდა რაინდი, ტურფა გრძნობით გატაცებული, ალმერთებს თავის მშვენიერ დედოფალს... რა არის აქ გასაკიცხი? განა დედოფალი ქალი არ არის?

**დედოფალი.** როგორც ქალს, მე ჩემი მეუღლე მყავს, დარეჯან.

**დარეჯან.** რა უყოთ მერე! კარგია შენმა მზემ! მოხიბლე, გული და გონება წარსტაცე და იმასვე სდებ ბრალსა, რადა ხარ რეტ-დასხმულიო. (დაუჭერს ხელებს) იცი რა, ნინო? იმ დღეს რომ ხელის კანკალით თაიგული მოგართვა და მომხიბლავის ცეცხლით თვალებ-ანთებულმა მთრთოლვარე ტუჩებით რაღაც საბოდიშო სიტყვა წაილუღლუღა,—დავიწვი, დავიწვი საცოდაობით! ისე შემებრალა, ისე შემებრალა, რომ რა ვსთქვა! მზად ვიყავ ბავშსავით გულზე მიმეკრა.

**დედოფალი.** სუ, სუ, სუ! (ყურებში თითებს დაიცობს) არ მესმის, არ მესმის!

**დარეჯან.** შენ სხვანაირად იფიქრე; სრულებითაც არა: მე მხოლოდ მებრალება, სასტიკად რო ექცევი.

**დედოფალი.** კმარა, კმარა! (გაბრუნდება წასასვლელად) ეგ შორს წაგვიყვანს.

**დარეჯან** (მოეჭიდება ხელს). დაიცა, დაიცა, ნინო! რო არა მჯერა ეგეთი გულ-ქვაობა შენი! რო ვიცი, კეთილი ხარ! (დაადებს გულზე ყურს) მოიცა, ყური მოგაპყრა: ვნების ნიავს უნდა გადაეშალა გულის ყვავილი!

**დედოფალი.** დაიცა ერთი, შენ გაზრდასს! რო არაფერსა ჰგავს! (შეიშმუშნება).

**დარეჯან.** როგორ დავიჯერო, სიბრალულის სიმი არ გიჟღერის გულში: ქვა ხომ არა ხარ?

**დედოფალი.** ქვა რომ არა ვარ, კისერზე ხომ ვერ მოვეხვევი!

**დარეჯან.** თუ კი გული წმინდა მაქვს... (შემოდის მარიამ; ხელში უჭირავს გასვრილი ლოცვანი და ხელსახოცით სწმენდავს).

### 5.

**მარიამ.** შეხე რა ქნა იმ საძაგელმა!

**ნინო.** ვაი ჩემ თვალებს! ჩემი ლოცვანი! (ხელს მიიღებს ლოცვაზე) ვინა ქნა ეგა? (მიუახლოვდება).

**მარიამ.** მანუჩარმა.

**ნინო;** ვაი, ჩემ დანახვასა შიგ ჩასხმული ლაფი! რა მოეჩვენა მერე იმ საძაგელსა?!..

**მარიამ.** ჩემი ბრალი იყო. ჩამაცივდა: „მამიდა, ცოლი შემრთეო“. რად გინდა, გენაცვა, ცოლი მეთქი. „რად მინდა და ვჭამო“. ამიტყდა სიცილი. დარცხვენილმა მომტაცა ლოცვანი და მოკურცხლა; წყაროსთან ფეხი წაუცდა და წიგნიანათ გაიშხლართა ტალახში (სწმენდავს ხელსახოცით)

**ნინო.** ნეტა მღვდელმთავრის ნაბოძვარი მაინც არ იყოს; ხატის კოლოფი რაღა უყავ?

—**მარიამ** შენახული მაქვს.

**დარეჯან.** შენცა, ქალო! მონოზნასავით ხელიდან აღარ უშვებ ლოცვანსა. რა გაქვს მაგდენი შესავედრებელი?! (გესლით) შენ ქმარს თუ ავედრებ ღმერთსა, სვიმონ გურიელი ისე გაურბის ბრძოლის ველს, რომ ტყვია იმას ვერ მისწვდება.

**მარიამ.** შენ თუ შხამი არ გადაასხი ყველაფერსა, როგორ შეიძლება... (ისმის ბუკის ხმა. ყველანი სცქვეტენ ყურებს)

**ნინო.** ბუკის ხმა!

**დარეჯან.** ცხენის ფეხის თქარათქური იყო,—შიკრიკი იქნება.

**მარიამ.** მოდის ვიღაცა.... სწორედ (შემოდის არჩილ, სამხარ ტანისამოსშია)

### 6.

**დარეჯან.** არჩილ!

**ნინო.** (შეკრთება).

**არჩილ.** (სწრაფად დაუჩოქებს) ბედმაღალო და ეტლ-ბრწყინვალე დედოფალო!

**ნინო.** უბედურება იქნება ჩვენ თავსა,—სთქვით, თავადო! ნუ აყოვნებთ: გული მილონდება.

**არჩილ.** უღირსი მონა თქვენი, ფეხრთა თქვენთა მტვერი მახარობელია კეთილის ამბისა: ომი გათავდა; მეფე გიორგის გულზვავობა სამუდამოდ შეიზღუდა.

**ნინო.** (ოდნავ ადაპყრობს ხელებს) ნუ თუ ღმერთი გვწყალობს!

**არჩილ.** სამეფო დროშა ცამდე ამაღლდა და გაშლით ფრიალებს ცის კამარაზე.

**ნინო.** (სასოებით) ვმადლობ ღმერთსა მაღალსა, ვმადლობ ყოვლად მოწყალესა ჩვენსა! გმადლობ შენცა, თავადო, რომ ფეხბედნიერებით გული სიხარულით აგვივსე! ადექით, თავადო! (წამოაყენებს და მიბრუნდება) მომიტანეთ კოლოფი! მარიამ, ნუ დაიზარებ, გენაცვა! (მარიამ შედის შიგნით). ერთი-ღა დაგრჩათ სათქმელი, თავადო: მსხვერპლი გვაუწყეთ რაოდენია? ნუ დაგვზარხავთ,—დედანი ვართ, სუსტნი ვართ.

**არჩილ.** დამშვიდებით ბრძანდებოდეთ, დედოფალო: დიდებული მეფე, რაინდი გიორგი, ქაიხოსრო, ყველანი უვნებლად არიან და ძლევა-მოსილნი სამკვიდროს მობრძანდებიან; ამ ცოტა ხანში ისინიც გაჩნდებიან.

**ნინო.** გმადლობ, უფალო! გმადლობ, რომ არ დააობლე ერი შენი კეთილმორწმუნე! ეს დღე ჩემთვის მარად სახსოვარი იქნება: ჩაქრა ცეცხლი ბრძოლისა მოძმეთა შორის და შვება მოგვეცა შეჭირვებულთა (მარიამ შემოიტანს კოლოფს. ნინო ამოიღებს კოლოფიდან ძვირფას ხატსა)

**ნინო.** პატიოსანო თავადო არჩილ! მიიღე ეს მცირედი ნიშნად გულითადი მადლობისა კეთილ ამბისთვის და ერთგულ სამსახურისთვის. (არჩილ დაუჩოქებს ცალ ფეხზე და დედოფალი ხატის ძეწკვს გადააცვამს კისერზე). იყოს ეს ხატი წმიდისა განმანათლებელისა მფარველად წრფელთა გულთა საუნჯისა.

**არჩილ.** გმადლობთ, დედოფალო! თქვენის მოწყალების შუქით გამთბარი გული ჩემი სდუღს ლხინითა და აღტაცებით (დგება). ნება მიბოძეთ, დედოფალო, მოწყალე ხელზე გეამბოროთ. (კოცნის ხელზე)

**ნინო.** დავსხდეთ, დასვენება გინდათ, თავადო. (დაჯდება)

**დარეჯან.** დიდს შეჭირვებას გამოივლიდით ყველანი, თავადო.

**არჩილ.** გარჯილობა არად მიაჩნია მეომარს, როცა იბრძვის ქვეყნის საბედნიეროდ, დიდებულ მეფის სადიდებლად და სასახელოდ სათნო დედოფლისა, რომლის კეთილი სახე, ვით სხივი მზისა ბურუსიან დღეს მას გზას უკვლევს, გულს უხალისებს.

**დარეჯან.** ვინ უფრო ისახელა თავი? მაგრამ, უკაცრავად, თავის ქება აკრძალულია მგონი.

**არჩილ.** გმირობა რჩეულთ ხვედრია და ასეთი რჩეული, კარგად იცით, სხვა ვინ იქნება, თუ არ გიორგი, მეუღლე თქვენი, სხივმოსილო დედოფალო! გამოვლილი ჭირი დრო-ჟამთა დენით გასართობ ამბავად იცვლება; ამიტომ გავბედავ და მოგახსენებთ, რომ იყო წამი, როცა დიდებულ მეფის სვე-ბედნიერობა გასაქრობად მიიწურა. (დედოფალი შეიშმუშნება)

**დარეჯან.** გვიამბეთ, გვიამბეთ, თავადო! (დარეჯან დაჯდება; არჩილ თავს დაუკრავს).

**არჩილ.** შემთხვევა იყო სწორედ საარაკო: დიდებული მეფე მცირედის ამალით წაბძანდა მოპირის-პირეთა ბანაკის დასათვალიერებლად და მოულოდნელად წააწყდა ჩასაფრებულ მტერს. იგრიალეს თოფებმა და ერთს წამს მეფეს მხლებელთაგან და მათ ბედაურთაგან შეიქმნა საზარელი გროვა დაჭრილთა და დახოცილთა. მომაკვდავთა უკანასკნელი კვნესა და დაჭრილთა უძლური მუქარა მტრისა მიმართ საშინელ ზარის ხმად მოეფინა არემარეს; ყველა მიადგა სიკვდილის კარსა; მარტო მეფე-ღა დარჩა უვნებელი და წაქცეულ ბედაურს ქვეშ მოყოლილი ამაოდ სცდილობდა ფეხის განთავისუფლებას. დასცეს ყიჟინა და გადმოცვივდნენ მეფის შესაპყრობლად. დადგა საშინელი წამი.

**ნინო.** (პირჯვარს იწერს) ღმერთო, შენ ხარ მოწყალე!

**არჩილ.** მაშინ გამოჩნდა, ვინც იყო ჩვენში გმირი: ვით ისარი, მარჯვე ხელით ნატყორცი, სწრაფად მიიჭრა გიორგი. გააფთრებულ ვეფხვსავით ეკვეთა გალაღებულ მტერსა და, სანამ ჩვენ გონს მოვიდოდით, ზარდამცემ ყიჟინით შეურღვია გული. შემოერტყნენ გარშემო და შეიქმნა ბრძოლა. აბა როგორ აგწერო აუწერელი: ვით მთის ორბი აწიოკებულ ბუდეს, დასტრიალებს გაშმაგებული გმირი თავის ძმისწულს და მზის სხივზე მოლაპლაპე მისი ხმალი მეხსავით ეცემა ზედი ზედ მტერს. ქინმორეული მტერი, უკუცქეული ვით ზღვისა ზვირთები შეურყეველ კლდისაგან, გულმოსულობით ჰბორგავს და უქადის შთანთქმას. (გავარდება დამბაჩა. განცვიფრდებიან.)

**ნინო.** ეს რა ამბავია?

**არჩილ.** მეფე მობრძანდება უთუოდ. (უფრო განცვიფრდებიან).

**ნინო.** როგორ? ასე უეცრად? (ყველანი მივარდებიან ფანჯრებს და უყურებენ).

**არჩილ.** ნამდვილად ის არის: აქვე ხიდთან დამაწინაურა.

**მარიამ.** ჯარი მოდის.

**არჩილ.** ხალხი მირბის მისაგებებლად და თან აღტაცებით ქუდს ცაში ისვრის.

**დარეჯან.** აქეთ გადმოუხვიეს.

**ნინო.** სწორედ ის არის: წავიდეთ, წავიდეთ ჩქარა, მოვემზადოთ დასახვედრად. (დაფაცურდებიან)

**მარიამ.** (უყურებს) ცხენები გამოაჩქარეს.

**დარეჯან.** ჭენებით მოდიან: ვერც კი მოვასწრობთ! (გაჩქარებით შედიან თახში).

**არჩილ.** (ცოტა ხანს გაშტერებულია) მეზმანება თუ ცხადია (შეუზა). ნუ თუ ბედნიერების კარი მეღება?! პირი კვლავ მოიკ[illegible] რეში[illegible]

## ეგნატე ნინოშვილის

**ძეგლის აგების გამო.**

„ჭეჭკილის" რედაქციამ მიიღო აქსტაფიდან იგანე კიმულძის მიერ შეკრეგილი ფული შემდეგ პირებისაგან: მანეთ ნახევარი—გ. მამაცოვისა; თითო მანეთი: სიდ. გოგვაძისა, ი. მაგარდენაძესი, ნ. ორჯონიკიძესი, ან. ტუემალაძესი, ლ. ბოლქვაძესი, ქ. დეკანოსიძესი და ივ. კიმულაძესი; ათი შაური: ლ. ხნატარაიშვილისა, გ. ჯაოვარიძესი, გ. ცინცაძესი, ლ. კოსავასი, ლ. ძიძიგურისი, ილ. მაღლაკელიძესი, მ. ტიტვინიძესი, Трифона Каптуна, ლ. ბებიასი, ბ. პერტენავასი, გალ. კაპანაძესი, მელ. გაბრიაძესი, გრ. ჩხიკვაძესი, ვლ. გაბისონიასი, ფინოდიასი, ნ. კალანდაძესი და ალფ. დავითულიანისა; ორი აბაზი: გ. კერესელიძესი და Всеволода Винокурова; ექვსი შაური: დ. გაწერელიასი და ერ. ანზიანიძესი; ხუთ-ხუთი შაური: ს. ნეფარიაშვილისა, თ. ნაცვალიძისა და ს. ელიკაშვილისა: თითო აბაზი: პ. ხორბალაძისა, აბ. გოგორიშვილისა, ივ. შანიძესი, თ. პატარაიასი, ს. სხირტლაძესი, გ. სამხარაძესი, ზაქ. აბრამაძესი, გრ. შენგელიასი, დ. მუმლაძესი, მ. ჩეჩელაშვილისა, ნ. ზაზიაშვილისა, ივ. კეჩხოშვილისა, ივ. თევზაძესი, პ. ჩიგოგიძესი, ს. კაჭარავასი და სამ-სამი შაური: თ. მალაზნიასი, ერ. პეჭკორიასი, რ. ბიბილაშვილისა და ის. კუპატაძესი. სულ 22 მ. 75 კ.

დღემდე შემოსული იყო 347 მ. 30 კ. ამითი შესდგა 370 მ. 5 კ.

## ვაჟა-ფშაველას წერილის გამო

(წერილი რედაქციის მიმართ)

დღევანდელს თავის წერილში („უმადური გამომცემელი") ბ. ვაჟა-ფშაველა მე მიხსენიებს როგორც გამრიგებელს და შუამავალს მასა და ბ. გაჩეჩილაძეს შორის. ამიტომ მოვალეობად მიმაჩნია ვაუწყო საზოგადოებას, მართალა რის დამსწრე და მოწმე ვიყავი.

გასული წლის დეკემბერში „სორაპანის" სტამბის პატრონმა მ. გაჩეჩილაძემ განიზრახა გამოეცა უულის თოწერით ქართველ და უცხოელ მწერლების ნაწარმოებნი იაფფასად და მთხოვა, მირჩიე, ვინ გამოვცეო, და თუ შეიძლება „ფასკუნჯმა" გაუწიოს საერთო რედაქცია ამ გამოცემებსო მეც დავუსახელე რამდენიმე ავტორი და, რასაკვირველია, უსასყიდლოთ, მივიღე ჩემს თავზე მისი განზრახული საქმის იდეური ხელმძღვანელობა. ამ ხანებში ტფილისში იყო ვაჟა-ფშაველა და მისგან გაგონილი მქონდა, რომ დამზადებული აქვს გამოსაცემად ახალი, ჯერ არსად არ დაბეჭდილი ლექსები. ეს ამბავი შევატყობინე მ. გაჩეჩილაძეს, რომელმაც მოინდომა, რომ პირველი წიგნი მისი სერიისა ყოფილიყო უთუოდ ახალი ნაწარმოები და მთხოვა ვაჟა-ფშაველასთან მორიგება. ვიცოდი ვაჟა-ფშაველას მაშინდელი ქონებრივი შევიწროვება, სულით და გულით მსურდა, რომ გაჩეჩილაძეს შეესყიდა მისგან ლექსები და სიამოვნებით ვიკისრე შუამავლობა. ვაჟა-ფშაველას გადავეც მ. გაჩეჩილაძის პირობები, უკანასკნელს ვაჟა-ფშაველასი, მაგრამ ვერ შევათანხმე ფულის რაოდენობის შესახებ (ვაჟა-ფშაველა ითხოვდა ას მანეთს). ამიტომ ორივე ერთმანეთს შევახვედრე „სორაპანის" სტამბაში და აქ პირადად მოილაპარაკეს და ასე შეთანხმდნენ: 1) ვაჟა-ფშაველას უნდა მიეცა გაჩეჩილაძისთვის სრულიად ახალი, არსად არ დაბეჭდილი ლექსი 200 გვერდიანი წიგნისათვის, რომლის ფორმატი იქვე აჩვენა გაჩეჩილაძემ. ძველი ლექსი შეიძლებოდა გარევლოდა ხუთი-ექვსი. 2) მ. გაჩეჩილაძეს უნდა მიეცა საავტორო ჰონორარი 80 მან. 3) რადგან ეს ფული ხელთ არ ჰქონდა მაშინ, ამიტომ ბედ აძლევდა ვაჟა-ფშაველას 20 მან. და დანარჩენ 60 მან. გადაიხდიდა იანვრის ბოლო რიცხვებში. 4) რადგან ვაჟა-ფშაველა სოფელში უნდა დაბრუნებულიყო, ლექსებს დაუტოვებდა თავის ძმას, რომლისაგან ჩაიბარებდა მ. გაჩეჩილაძე, როცა 60 მანეთს გადაიხდიდა.

ამას უნდა დავუმატო, რომ ვაჟა-ფშაველას არც ჩემთვის და არც გაჩეჩილაძისთვის არ უჩვენებია ლექსები; ისე ამბობდა კი, რომ ჩემი ახალი ლექსები 200 გვერდზე მეტი [illegible] დენი ცალი უნდა დაბეჭდილიყო წიგნი, ამის შესახებ, რამდენადაც მახსოვს, გადაჭრილი ლაპარაკი არ ჰქონიათ ავტორს და გამომცემელს.

[illegible] ამის შემდეგ ერთი თვე და როცა მ. გაჩეჩილაძეს უნდა დაეწყო წიგნის ბეჭდვა, მივაკითხე ვაჟა-ფშაველას ძმას ლექსებისათვის და აღმოჩნდა, რომ მას დაეტოვებინა მხოლოდ მესამედი დაპირებულ ლექსებისა. ეს ძლიერ მეწყინა და მაშინვე დეპეშა და წერილი გავუგზავნე ვაჟა-ფშაველას. მეორე მხრით მ. გაჩეჩილაძემ დაუმსახურებელ საყვედურებით მომმართა: შენ იცოდი, რომ ვაჟა-ფშაველას მეტი ლექსი არ ჰქონდა და ორივემ ერთად მომატყუილეთო. რაკი საქმემ ასეთი ხასიათი მიიღო, მეც თავი გავანებე უგელაფერს, როგორც შუამავლობას, ისე სარედაქციო პასუხის-მგებლობასაც.

ხოლო როცა მ. გაჩეჩილაძემ გამოსცა ვაჟა ფშაველას „ცრემლები", რომელშიაც მოათავსა ერთი წილი ახალი ლექსი და ორ წილზე მეტი ჟურნალ გაზეთებიდან ამოღებული, ვუთხარი: მართალია ვაჟა-ფშაველამ მოგატყუილა, მაგრამ მაინცვალდებული ხარ ჰონორარი მისცე გადმობეჭდილ ლექსებში და ფულის რაოდენობის გამორკვევა მიანდვე ვინმე მედიატორს.

ასეთია საქმის ვითარება. ძალიან ვწუხვარ, რომ უნებურად გავერიე ამ არა-სასიამოვნო ამბავში. ჩემი სურვილი იყო: კარგი წიგნი დაბეჭდილიყო ქართულად—ერთი,—და ვაჟა-ფშაველას საავტორო ჯილდო მისცემოდა, თუნდა მცირე—მეორე. ასეთი სურვილისათვის მავიღე კიცხვა და საყვედური ორივეს მხრით.

**სამ. ფირცხალავა.**

## რუსეთი

✦ **სიკვდილით დასჯილნი.** გაზეთებში ცნობები არა ყოფილა იმის შესახებ, თუ რამდენი კაცი ჩამოახრჩეს ნოვოჩერკასკში. ადგილობრივ გაზეთებს აეკრძალული ჰქონდა ამის შესახებ ცნობები დაეჭდათ. „რეჩს" ცნობები შეუკრებია და აღმოჩენილა, რომ გასულწლს ნოვოჩერკასკში 37 კაცი ჩამოუხრჩვიათ. საინტერესოა თუ როგორ ახრჩობდნენ. სიკვდილ გადაწყვეტილებს ქალაქის გარეთ, მთადამის 2-3 საათზე ახრჩობდნენ და ისიც ხუთ-ექვს ერთად. ხაფლავებს მათ თვალწინ სთხრიდნენ. გადაწყვეტილებს ჯალათი დედამიწაზე უჭერდა თოკს ყელში და მერმე მუშები, როგორც ყასაბი ხაქონელს, ხახრჩობლებს ჰკიდებდნენ. ერთ რიგ ჩამოახრჩობდნენ, [illegible] ნენ: ვის გინდათ პირველად, ვიხი ჯერია" და თან იცინოდნენ. დახრჩობილებს უმალვე დასჯილს ხდიდნენ ყველაფერს და ტიტველას მარხავდნენ იქვე გათხრილ ორმოში. დახრჩობილის გვამებს კი არა ხსნიდნენ სახრჩობელადან, პირდაპირ სჭრიდნენ თოკს ხმლით და დახრჩობილი ორმოში თუ არ ვარდებოდა, ფეხის კვრით აგდებდნენ შიგ და მერმე მიწას აყრიდნენ. ჯალათი თითეულ დასჯაში 100 მანეთს იღებდა. მას სულ 3700 მან. აუღია წელიწადში. ამრიგად ჯალათობა რუსეთში ერთ შემოსავლიან ადგილად უნდა ჩაითვალოს.

✦ **ჩხრეკა.** გაზეთ «რეჩის» სიტყვით 2 აპრილს გაუჩხრეკიათ ის სადგომი, სადაც საქართველოს ექიმთა კრებაა გამართული. პოლიციას ვერაფერი უპოვნია.

✦ **მომხმარებელ საზოგადოებათა კრება.** ქალაქ კუოპიოში (ფინლიანდია) გაიხსნა სრულიად რუსეთის მომხმარებელ საზოგადოებათა მეშვიდე კრება. კრებაში 180 კაცი იღებს მონაწილეობას, სხვათა შორის, საზღვარ-გარეთის მომხმარებელ საზოგადოებათა წარმომადგენელნიც იღებენ მონაწილეობას. კრება რამდენიმე დღეს გაგრძელდება.

✦ **გულშემზარავი ამბავი.** რუსეთის გაზეთები შემდეგ გულშემზარავ ამბავს გადმოგვცემენ: სოფ. ტულუნის საავადმყოფოში მისულა გლეხის ქალი გრიმჩენკო, რომელიც ფეხმძიმედ ყოფილა. მას ნდომებია საავადმყოფოში მოელოგინებინა. ექიმ ბატურინს გაუსინჯავს გრიმჩენკო და უთქვამს, რომ მშობიარობა ერთი თვის შემდეგ დაიწყებაო და წასულა. ექიმის საავადმყოფოში არ ყოფნის დროს გრიმჩენკოს გული წასვლია და გონება დაუკარგავს. საავადმყოფოს მოსამსახურეები იმ წამსვე ექიმ ბატურინთან გაქცეულან და უთქვამთ, რომ გრიმჩენკო გარდაიცვალაო. ექიმს ამაზე უპასუხნია: «მერე რა ვუყოთ, მე რაღას მაწუხებთ, წაიღეთ გარდაცვალებულების ოთახში». გრიმჩენკოს „გვამი" მოსამსახურეებს გარდაცვალებულების ოთახში მოუთავსებიათ. დილით მისულა გრიმჩენკოს ქმარი, რომ სახლში წაესვენებინა თავის მეუღლე. ქმარი გარდაცვალებულების ოთახში წაუყვანიათ. აქ მას გულშემზარავი სურათი უნახავს: ოთახის კუთხეში, მთლად სისხლში მოსვრილი, თითებ დაკვნეტილი, იჯდა მისი ცოლი და მკერდზე პატარა ბავშვი ჰყვანდა მიყრდნობილი. როგორც ბავშვი, ისე დედა გაყინულიყვნენ. აშკარაა, რომ გრიმჩენკოს უძებნია და როდესაც გონებაზე მოსულა, გაუგია სადაც ყოფილა და კარში გასვლა მოუნდომებია, მაგრამ კარები დაკეტილი დახვედრია. მაშინ მას ფანჯარა გაუტეხია, მაგრამ აქაც დაბრკოლება დახვედრია, გარედან ფანჯარა რკინებით ყოფილა გამაგრებული. მაშინ საბრალო ქალი დამორჩილებია ბედს, გულზე მიეკრავს შვილი და გაყინულა. არც მისი, არც ეხლად დაბადებულის ყვირილი საავადმყოფოში არ გაუგიათ...

✦ **სიკვდილით დასჯა.** სიკვდილით დასჯა გადაწყვეტილი აქვთ: კიევში 1, მოსკოვში 1, ხარკოვში 2, ყაზანში 3, ოდესაში 1, პეტერბურგში 1 კაცს; სიკვდილით დასაჯეს: ორიოლში 1, ეკატერინოსლავში 2, ოდესაში 1, პეტერბურგში 2 კაცი.

✦ **ხოლერის მსხვერპლი.** პეტერბურგში ხოლერის დაწყებიდან აქამდ გამხდარა 10,316 კაცი, გარდაცვლილა 4006, მორჩენილა 6263 კაცი.

✦ **კერპთაყვანისმცემლები რუსეთში.** რუსეთში ეხლაც კი არიან კერპთთაყვანისმცემლები. ნამეტან ბევრი კერპთმთაყვანისმცემლები ალტაიში არის. მათში დარჩენილია ბევრი ძველი ჩვეულება, რომლებსაც მარტო კერპთმთაყვანისმცემლები კი არ მისდევენ, არამედ მართლმადიდებელი, მონათლული „ინოროდცები." სხვა და სხვა ჩვეულებიდან, მოვიყვანთ ერთ ჩვეულებას, სახელდობრ მსხვერპლის შეწირვას, რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებლები „კამლაობას" ეძახიან. მსხვერპლის შეწირვა ამნაირად ხდება: რამდენიმე სოფელს ერთი ადგილი აქვთ ამორჩეული. ამ ალაგას დანიშნულ დროს იკრიბებიან მთელი სოფლები. კამს, ან ჩვენებურად მღვდელს, მოჰყავს თეთრი კვიცი. კამს გარს პატივცემული სოფლელები ახვევიან. კვიცს მაგრად აბამენ. კამი უსათუოდ თვალაზვეული უნდა იყოს, მთვრალი და სხვა და სხვა სამკაულით მორთული. კამი მიდის იმ ალაგას, სადაც კვიცი აბია, თვალებს იხსნის, დარბის კვიცის გარშემო, რადაცას ბუტბუტებს, ზარებს აჩხარუნებს, დარბის მანამდის, სანამ კარგად არ იღალება, თვალები არ დაუსისხლიანდება. ამის შემდეგ ყველა იქ მყოფნი დანებით [illegible] ჰკიდებს და დანებით სცემენ. [illegible] სისხლი [illegible] დაარტყას დანა. კვიცი, რასაკვირველია, სისხლისგან იცლება და კვდება. მოკვდება თუ არა კვიცი, იმწამსვე ატყავებენ, ხორცს სამსხვერპლო ქვაბში ჰყრიან და ხარშავენ. მოიხარშება თუ არა ხორცი, იტაცებენ ხორცს და უპუროდ, უმარილოდ სჭამენ, თანაც არაყს სვამენ, დამთვრალი ხალხი ხაღამოზე იშლება. კვიცის ტყავს ცაცხვის ხეზე ჰკიდებენ. ალტაელი, რომელიც სამოგზაუროდ, ან სანადიროდ მიდის, უსათუოდ ამ ცაცხვთან გაივლის და დიდი ხანი თვალ მოუშორებლივ უცქერის: ეს მონადირეს და მოგზაურს აალენს ყველაფერ უბედურებას.

## წერილი რედაქციის მიმართ.

უმორჩილესადა გთხოვთ, თქვენს გაზეთში ადგილი მისცეთ ჩემს მცირე შენიშვნას.

თქვენი გაზეთის მე-57 ნომერში, თიანეთის კორესპონდენციაში, სხვათა შორის ნათქვამი იყო, ვითომ მე მასწავლებელ ბ-ნ სირაძეს ჩაგონებით დავითხოვე მოურაობიდან „ჭკვიანი და პატიოსანი" დუჩიძე და იმის მაგივრად დავაყენე მასწავლებელი სირაძე. ამის გამო მოვალედ ვრაცხ ჩემ თავს გამოვთქვა შემდეგი: მართალია, მე დუჩიძე დავითხოვე, მაგრამ იმის მაგივრად დავნიშნე ჩაბანოელი ნაზღაშვილი და ბ. სირაძესთან არაფერი დამოკიდებულება არა მაქვს. დუჩიძის დათხოვნა სრულებით სირაძეს გარეშე მოხდა, მიზეზს აქ ადგილი არა აქვს და თუ კორესპონდენტს აინტერესებს, არ დავზარდები, ვამცნობ, თუ გამომელაპარაკება და ვინაობას მაცოდინებს.

**გ. გულისაშვილი.**

ზანილ მზესავითა და უიმედობის ნისლი სწრაფლ გადამეყარა დამზრალ გულიდგან. (დაფიქრდება) როდემდის?! არა, არ შემიძლიან: ბედის ასეთს სიძუნწეს ვერ დავჯერდები... როგორ მოვითმინო ამოდენა ჭირი და ნაღველი, როცა ეს გული ჩემ ხელთ არ არის! (დაფიქრდება და ხელს მოჰკიდებს ხატს) ხატი მომცა მფარველად გულის საუნჯისა; როგორ გავიგოთ? (დაფიქრდება) ბნელა!.. ბნელა! (დაფიქრდება) სიყვარულზე უძირფასესი საუნჯე განა იქნება კიდევ?! მაშ... არა, არა! ფიქრისაც კი მეშინიან... ეს იმედი, ვით დღისა ნათელი სიბნელიდან გამოსულს ტუსაღს, თვალსა მჭრის, დაბრმავებას მიქადის. (დაფიქრდება). ნეტავ ერთი სიბრალულის თვალით გადმომხედავდეს, მიბრძანებდეს გადუშალო გულის საუნჯე ჩემი, დავუფრქვიო ფერხთ წინ ძვირფასი მარგალიტნი, უწმინდეს გრძნობათაგან წარმოშობილნი, მაშინ... ჰო, მაშინ ველარ გამწირავს. (შემოდის გახქარებით დარეჯან, რომელიც სადარბაზოდ არის მოკაზმული).

**დარეჯან.** სწორედ შენი ნახვა მინდოდა, არჩილ. მოდი აქეთ! (განზე გაიყვანს) გამიგონე!—ცეცხლი, როცა ხრჩის და ჰბოლავს, ბრაზსა ჰგვრის ადამიანსა, და, რაკი ალი ავარდება, მაშინ გულის სალხინებელია.

**არჩილ.** რაზე მეუბნები მაგას?

**დარეჯან.** ვერ მიხვდი? (ხელს მოჰკიდებს ხატს) დახედე კარგად იმ გულთა საუნჯის მფარველს,—არავის გაგონებს? იმასაც ხომ ნინო ჰქვიან. (შეჰხედავს ცბიერად თვალებში) მიხვდი ახლა?

**არჩილ.** ცოტად; გული მეუბნება, რომ ბედნიერება...

**დარეჯან.** სს! კრინტი არ დაძრა! იცოდე ჩემგან: თავის შებრალებით ფონს ვერ გახვალ, გულს ვერ აუყვავებ. შორით მიჯნურობა ულონოთა წესია, და სუსტი მიჯნური ქალის გულს ვერ მოიგებს. გულის ხმა ჰყავს: გამბედაობა სჭრის მხოლოდ თვალსა, გამბედაობა! მხდალი კაცი საწადელს ვერ მიაღწევს.

**არჩილ.** ეგ სიტყვები ნელ-საცხებლად მედება გულს, მაგრამ რომ იცოდე, დარეჯან, ვით შებორკილი ჯადოსაგან...

**დარეჯან.** (წყრომით) კმარა, კმარა! უბრალოდ ვიხარჯებით; გავშორდეთ ერთმანეთსა! (გაბრუნდება წასასვლელად)

**არჩილ.** ნუ, ნუ მიწყრები, დარეჯან! (კაბაზე მოჰკიდებს ოდნავ ხელსა; დარეჯან მობრუნდება) შენ კალთას იქით გზა არა მაქვს, დარეჯან! ერთს გევედრები: მიმსახურე უკანასკნელ სისხლის წვეთამდე, ოღონდ მითხარი, რა გულით არის ჩემზე.

**დარეჯან.** ბავშვიც კი მიხვდებოდა აქამდის, საიდანაც ჰქრის ქარი.

**არჩილ.** გმადლობ, გმადლობ, დარეჯან!.

**დარეჯან.** რაც ითქვა, კმარა,—გავშორდეთ! სადაც არის ისინიც შემოვლენ. (თითით აჩვენებს კარსა. არჩილ თავს დაუკრავს და გავა)

**დარეჯან.** ეს ადვილად გადალახავს მორცხვობის ზღუდეს; საქმე დედოფალია: ფეხის წაცდენა მისი ძნელად იქნება; უნდა ვილონისძიო რამე და ჭაბუკობისა ძალა მისი ვაუფლო... ესენი თუ დავაკავშირე და იქვის თვალი დედოფლისა მივაძინე, ჰო! მაშინ... მაშინ გზა ხსნილია; ლევანის გულის მონადირება ჩემ ხელთ არის: რკინაც კი დნება ცეცხლის სიცხოველისაგან. (დაფიქრდება) არა! თავს გარდავაგებ და საწადელს მივახწევ: ლევანის გულის საუნჯის უფალი მე უნდა გავხდე: განგებისაგან იგი ჩემთვის არის [illegible] იშნული. (შემოდიან გახქარებით დედოფალი და მარიამ, ორივენი სადარბაზოდ მოკაზმულნი)

8.

**ნინო.** გარეთ დაგხვდით, დარეჯან, თუ აქ? (კაბებს ისწორებენ)

**დარეჯან.** რასაკვირველია გარედ. (შემოდის ყორდანია)

9.

**ყორდანია.** მეფე მობრძანდა!

**ნინო.** მოვდივართ, მოვდ ვართ. (ნინო და მარიამ გადიან)

**დარეჯან.** შენი საქმე როგორ არის, ჩემო კარგო?

**ყორდანია.** გმადლობთ, ჩემო ხელმწიფევ! საბოდიშო სიტყვა მიბრძანა თავადმა პაატამ.

**დარეჯან.** ვიცოდი, რომ ეგრე იქნებოდა. ჭაბუკის გული ამაყია, იმიტომაც გირჩიე, თავი შეეკავა და მორჩილების წრიდან არ გამოსულიყავ. დაგიჯდა ქუაში?

**ყორდანია.** ძალიან, თქვენი ჭირიმე! ღმერთმა თქვენი მოწყალება ნუ მომიშალოს! (დარეჯან გადის). თაფლი ამოსდის დალოცვილს პირიდან! აფსუსი არ არის ასეთი მშვენიერება მოხუცებულის ხელში?! ქალი კი არა, ანგელოზია, ცით მოვლენილი ანგელოზი! რა ვიცი, რა უნდა დამავალოს, რომ არ შევუსრულო; კლდეზე გადავარდნა რო მიბრძანოს, იმ წამსვე უფიქრებლად ვისკუპებ და გადავიჩეხები. მოდიან! (შუა კარებთან) მეფე მობრძანდება... (გადგება განზე. შემოდიან: მეფე, დედოფალი, მარიამ, დარეჯან, ქაიხოსრო, სვიმონ, პაატა, არჩილ, ვარდენ, რამდენ, გორონზია, გაბუნია, კარისკაცნი, მოახლენი და სხვანი. ომიდან დაბრუნებულნი სამხარ ტანისამოსით არიან).

(შემდეგი იქნება)


!!!ავადმყოფთა საყურადღებოდ!!!

რადგან გაჩნდა ჯანმრთელობისთვის მავნებელი ყალბი სპერმინი, რომელსაც სხვა და სხვა სახელით ასაღებენ, საჭიროა ყიდვის დროს ყურადღება მიაქციოთ სახელს

СПЕРМИНЪ ПРОФ. ДОКТОРА ПЕЛЯ

SPERMINUM POEH

და მოსთხოვეთ ის, რომელიც ჩაწყობილია პროფესორ დოქტორის პელის და შვილების ორგანოტერაპევტიულ ინსტიტუტის მიერ პეტერბურგში.

რუსულ და საზღვარ-გარეთელ ლიტერატურაში მეცნიერთა და ექიმთა მრავალი მეცნიერული გამოკვლევაა სპერმინის შესახებ. ამ გამოკვლევებიდანა სჩანს, რომ სპერმინი მეტად სასარგებლო წამალია ნევრასტენიის, სქესობრივ უძლურების, მოხუცობის უძლურების, ისტერიის, ნევრალგიის, სისხლ-ნაკლებობის, ჭლექის, სიფილისის, ვერცხლის წყლის წამლობით შედეგის, ქარების, გულის ავადმყოფობის (იშიაცის, გულის სკლეროზის, გულის ფრიალის, გულის კანკალის, მიოკარდიტის), არტერიოსკლეროზის, ალკოჰოლიზმის, ხერხემლის ტვინის დასუსტების, სიდამბლის, სისუსტის, დაქანცულობის და სხვა ავადმყოფობის დროს.

ამ მეცნიერთა და ექიმთა წერილები ეხება მხოლოდ პროფესორ დოქტორ პელის სპერმინს.

სპერმინ-პელისა იყიდება ყველა აფთიაქსა და დიდ სააფთიაქო მაღაზიაში: 1) კაპლების მსგავსად (Essentia Spermini Poehl) 1 [illegible] 3 მ. [illegible] 2) ამპულებად კანქვეშ შესასრულებლად (Sperminum-Poehl pro injectione) 1 კოლოფი ოთხ შესხურებისთვის—3 მ. და 3) კლიზმებისთვის (Sperminum-Poehl pro clysm.) [illegible] 4 კლიზმისთვის—3 მან.

უფასოდ იგზავნება წიგნი Цѣлебное дѣйствіе Спермина-Пеля (182 გვ.), რომელშიაც მოთავსებულია დაკვირვებანი რუს[ი] და უცხოელ ექიმებისა, აგრეთვე „Органотерапевтическій Сборникъ" (მეორე გამოცემა), სადაც აღიამნულია პროფესორ დ-რ პელის სხვა ორგანოპრეპარატები. ბ-ნ ექიმებისთვის, თუ მოითხოვენ, განსაკუთრებული სამეცნიერო ლიტერატურა.

ორგანოტერაპევტიული ინსტიტუტი, ქიმიური ლაბარატორია და აფთიაქი

პროფესორ დოქტორ პელის და შვილებისა

პეტერბურგში, ვასილ. კუნძ., 7 ლინია, ს. № 18-268.

უმაღლესი საჩუქარი (Grands Prix) ყველა მსოფლიო გამოფენაზე და საუკეთესო წერილები სამკურნალო ავტორიტეტისა.

(4—3[illegible]—1) 57670.—Л. и Э. Метцль и Ко.



ამიერ-კავკასიის საქარხნო საწყობი

1897 წ. 1908 წ. 1888

ამ-ზის პროვოდნიკისა

ტფილისი, სოლოლაკის ქუჩა, № 4.

სამშენებლო შენობისთვის ჰყიდის

პროვოდნიკ-ლინოლეუმს

საუკეთესო დასაგებია იატაკებისთვის

ლინოლეუმი მაგიერობასა სწევს: პარკეტისას, იატაკის შეღებისას, მოზაიკისას, ხალიჩებისას, ფარდაგებისას, კლიონკისას და სხ.

ლინოლეუმი სჯობია იატაკის ყოველ გვარ დასაგებს იმით, რომინახავს იატაკს სინესტისა და სიცივისაგან, წყალს არ უშვებს, არ ხეხავს, არა ფუჭდება მჟავე სითხისაგან, ხმაურობას არ უშვებს, ადვილად იწმინდება და ყოველთვის ლამაზია.

ლინოლეუმს, როგორც იაფ დასაგებს, სიმკვიდრით, მოხერხებულობით და სილამაზით პირველი ადგილი უჭირავს იატაკის დღემდე არსებულ დასაგებებში, რასაც მოწმობენ საჩუქრები და ქების ფურცლები, მიღებული ამხანაგობის მიერ როგორც რუსეთის, ისე საზღვარ გარეთის გამოფენებზე.

ხარჯთ-აღრიცხვა და უზორები ლინოლეუმისა იგზავნება პირველ მოთხოვნილებისათანავე.

(1)


სტამბა „ხინათლე", დიდი ვანქის ქუჩა, № 12.

რედაქტორ-გამომცემელი ი. ხ. აბლაძე.